CIAN MAGENTA YALLOW BLACK

# ალია

N60(3376) 1 ივნისი 2016 წ ფასი 50 თეთრი

ორშაბათი ალია | ოთხშაბათი ალია | ხუთშაბათი ალია | პარასკევი ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE
გამოდის 1995 წლიდან

## შპს „მაგთიკომისა“ და შპს „კავკასუს ონლაინის“ ერთობლივი განცხადება

4

მაგთიკომი MAGTICOM

კავკასუს ონლაინი



# ვააჰ, გვაშინებთ, ბატონო ბიძინა?!

6

რას და რატომ გვწერს მილიარდერი ერისკაცი

## „ნაცებთან“ ომი გმირებმა მოიგეს, ბოზებმა კიდევ პოსტები მოირგეს!

3

ბატონო ბიძინა, ლამის წმინდანი გიწოდონ, მხოლოდ იმიტომ, რომ მავანნი თქვენგან მოწყალებას ელიან. მლიქვნელობის ჩემპიონატია თქვენს კარზე გამოცხადებული, ეგებ კიდევ 4 წელი უზრუნველად იცხოვრონ, ჯიბეში პარლამენტარის მანდატით... ხალხი კი, იმედგაცრუებიდან იმედგაცრუებამდე ცხოვრობს...

## მაშინაც და დღესაც, ჩანს, რომ ხელისუფლება ერთი კაცის ნებაზეა დამოკიდებული

9

კახა კუკავა: „როგორც მე ვერ წარმომიდგენია, რომ კაცი შეიძლება გათხოვდეს და იყოს პატარძალი და ცოლი, ასევე, „ქართული ოცნების“ ლიდერებსა და ბიძინა ივანიშვილს ვერ წარმოუდგენიათ, რომ ამ ქვეყანაში შესაძლოა, არსებობდეს თუნდაც ნებისმიერი სახის სახელმწიფო ორგანო, რომელიც მათ არ დაემორჩილება“

## ზურა ჯაფარიძე: „ერთმანეთს ადარებენ გაშლებსა და საზამთროებს, გაუგონარ სისულელეებს ამბობენ“

11

„ხადურისა და ქუმსიშვილის ეკონომიკა გადასარევ მდგომარეობაშია, რადგან არა მგონია ისინი თავად გრძნობდნენ გაჭირვებას“

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ფეოლასი არ იყოს — გაუჭირდებოდა!




**რა, არ გჯერათ? ახლავე დაგიმტკიცებთ! აი, რას ამბობს გიორგი კვირიკაშვილი:**

**„ჩვენ გვქონდა ძალიან კონსტრუქციული საუბარი ბოლო დღეების განმავლობაში პრეზიდენტთან. მასში ჩართული იყო პარლამენტის თავმჯდომარეც და დეპუტატებიც, რომლებიც უშუალოდ ამ საკითხზე მუშაობდნენ. ეს საუბარი წარმატებით დასრულდა. ჩვენ შევთანხმდით ისეთ მოდელზე, რომელიც სრულ თანხვედრაში იქნება ვენეციის კომისიის მოთხოვნებთან და ამავე დროს გათვალისწინებული იქნება ჩვენი შენიშვნებიც. ვფიქრობთ, ძალიან კარგი პრეცენდენტი შედგა ასეთი კონსტრუქციული დიალოგის. ყველაფერს გავაკეთებ, რომ უმრავლესობა დაეთანხმოს ვეტოში გამოთქმულ შენიშვნებს, აღარ იყოს საუბარი დაძლევაზე და ჩვენ ალბათ პირდაპირ მივიღებთ ამ შენიშვნებს. ვფიქრობ, ეს პრეცენდენტი იქნება ძალიან კარგი მაგალითი მომავალში ასეთი კონსტრუქციული დიალოგისთვის“.**

საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა ვეტოს უფლება გამოიყენა. პრეზიდენტმა „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" კანონში შეტანილ ცვლილებებს, რომელიც პარლამენტმა მესამე მოსმენით მიიღო, ვეტო დაადო.

– ჩვენი დამოკიდებულების შინაარსი და კითხვის ნიშნები ეხებოდა სასამართლოს ფუნქციონირებას, რამდენად ფუნქციონირებადი იქნებოდა ამ კანონების შედეგად საკონსტიტუციო სასამართლო, - განმარტა გიორგი მარგველაშვილმა.

ვენეციის კომისიას პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა გადაგზავნილ კითხვებზე პასუხის უმოკლეს ვადებში გაცემისთვის.




– ნათლად გამოვლინდა, რომ ის, რაც ჩვენ გვაწუხებდა, აწუხებს ასევე ვენეციის კომისიასაც და მათთვის ის ფორმულირებები, რომლებიც იყო კანონში დაფიქსირებული, მიუღებელი აღმოჩნდა, - განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

პრეზიდენტის განმარტებით, პარლამენტს გადაეგზავნება ის მოტივირებული შენიშვნები, რომელიც კითხვის ნიშნებს აქამდეც აჩენდა. ეს ეხება სასამართლოში გადაწყვეტილების მიღების კვორუმის საკითხებს, ასევე, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა 10 წლიანი ვადის სრულფასოვნად ფუნქციონირებას.

(ნიუპოსტი)

● **აი, ხომ გეუბნებოდით, რა, რომ სულ მალე დაიწყებოდა ძალიან სულელური თამაში - „ვეტო დავადე“-„ვეტო დავძლიე“.**

**ერთგვარად ეს ამბავი ბიძინა ივანიშვილის წერილმა და „რუსთავი 2“-ის საქმემ კი გადაფარა, მაგრამ მაინც ვნახავთ ამ თემაზე გამიშვი-გაგიშვის, აგერ თქვენ და აგერ — გერმანია!..**

**ამ განცხადებაში ბევრი „ბლა-ბლა-ბლაა“, მაგრამ საყურადღებო შემდეგი სიტყვებია: ყველაფერს გავაკეთებ, რომ უმრავლესობამ ვეტოს დაძლევაზე აღარ ილაპარაკოსო.**

**ვინც ფიქრობდა, რომ მიჭირხვნა მარტო ერთი კაცის პრივილეგია იყო, აშკარად მწარედ ცდებოდა — კვირიკაშვილსაც შესძლებია, რომ „ყველაფერი გააკეთოს“ და ის შედეგი მიიღოს, რაც სჭირდება.**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ვინც გეტყვით, რომ ხართ ილია, აკაკი ან ვაჟა სასწრაფოდ გააგდეთ“, - თაკო ჩარკვიანის რჩევა ივანიშვილს

თაკო ჩარკვიანის შეფასებით, მოქმედმა ხელისუფლებამ ყველა ის შეცდომა ერთიანად გაიმეორა, რასაც წინა ხელისუფლებები უშვებდნენ, მათ შორის მედიასთან მიმართებაშიც. მან „არჩევანის" სტუდიიდან ბიძინა ივანიშვილსაც მიმართა და მოუწოდა, რომ თავის გარშემო ის ადამიანები არ ამყოფოს, ვინც ცდილობს დაარწმუნოს, რომ ილია ჭავჭავაძე ან აკაკი წერეთელია:

– კოშმარშიც კი ვერ წარმოვიდგენდი, რომ ჩემს მიერ არჩეული ხელისუფლება ასე ყველა შეცდომას გაიმეორებდა. ძალიან გთხოვთ, ვინც ხვალ თქვენთან მოვა და გეტყვით, რომ თქვენ ხართ ილია ან აკაკი, ან ვაჟა, ან ნიკოლოზ ბარათაშვილი, სასწრაფოდ გააგდეთ. იცოდეთ, რომ ისინი არიან თქვენი და საქართველოს მავნე მოქალაქეები, - განაცხადა თაკო ჩარკვიანმა. (ნიუპოსტი)

## ხალხი ელოდა, რომ ივანიშვილი მოვიდა და 100 ათას დოლარს აჩუქებს ყველას - ხაინდრავა საზოგადოების უმადურობაზე საუბრობს



– უკმაყოფილება იმიტომ არის, რომ ეს ხალხი ელოდებოდა, რომ ბიძინა ივანიშვილი მოვიდა და ამოიღებს და ყველას 100 ათას დოლარს აჩუქებს, - ეს განცხადება რეჟისორმა გოგა ხაინდრავამ, ტელეკომპანია „იბერიას“ ეთერში გააკეთა. გადაცემა „პრიორიტეტებში“ ხაინდრავამ საზოგადოებაში „ქართული ოცნებისა“ და ბიძინა ივანიშვილის მიმართ გაჩენილ უკმაყოფილების მიზეზებზე ისაუბრა. რეჟისორი ამბობს, რომ ქართველები ელოდებიან მესიას და შემდეგ მათი გაკერპება ხდება, რისი საშუალებაც, ხაინდრავას აზრით, მოსახლეობას თავად ივანიშვილმა არ მისცა.

გოგა ხაინდრავამ ბიძინა ივანიშვილის დამსახურებებზეც ისაუბრა და განაცხადა, რომ მას არ ეგულება მსოფიოში ისეთი ადამიანი, რომელიც თავისი „ხუთი მანეთიდან ერთს სხვას აძლევს“.

– რა მიიღო შედეგად ლანძღვაგინება ყველა ტელევიზიიდან, ყველა გაზეთიდან, ყველა ლანძღავს ივანიშვილს. ეს არის ივანიშვილის პრობლემა, ეს არის საზოგადოების პრობლემა, - განაცხადა ხაინდრავამ.

რეჟისორი საზოგადოების დამოკიდებულებას უმადურობას უწოდებს. (პირველი რადიო)

● **რას გეტყვით, ბატონო გოგა, იცით? სინამდვილეში უმადურობას სწორედ თქვენგან აქვს ადგილი — რომ არა ხალხი, საზოგადოება და რიგითი მოქალაქეები, „ქართული ოცნება“ ბუზსაც კი ვერ აუფრენდა „ნაციონალურ მოძრაობას“. სწორედ ის არის უმადურობა, ხალხის თავგანწირვა რომ ვერ დაინახეთ ვერც თქვენ, დიდად პატივცემულო და ვერც „ქართულმა ოცნებამ“.**

**რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილის მილიარდებს, შესაძლოა, რამდენიმე ადამიანს სამწუხაროდ, მართლა ჰქონდა რაღაცის მოლოდინი, მაგრამ ეს მოლოდინიც ხომ თავად შეუქმნა, როცა გაუთავებლად იაფ ფულზე ლაპარაკობდა, როცა იპოთეკით დაზარალებულებს დახმარებას ჰპირდებოდა. აი, ამას ვერ პატიობს ხალხი ვერც მას და ვერც „ქართულ ოცნებას“, თორემ ჯიბეებში 100 დოლარიანებს რომ არ ჩაგვიკუჭავდა, ეგ დარწმუნებული იყავით, 99 პროცენტს გადასარევად ჰქონდა გააზრებული!!!**

**როცა ადამიანს სიტყვას არ უსრულებ, კი იცით, მატყუარას სად „აგზავნიან“ ხოლმე. და კიდევ, თუ ხალხი უმადურია, ამ „უმადურებს“ რატომ უნდა ეჯუჯღუნო, არჩევნებში ხმა მომეციო? გაქანებული მარზმია, რა... ხოდა რაღას ალანძღვინებ თავს, უბრალოდ წადი!**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ყოჩაღ სანაქებო პოლიციას — სამმართველოების უფროსებს ერთმანეთი ხელჯოხებით სცემესო




ცემა-ტყეპას შეწირული სამმართველოს უფროსების სკამები იმერეთის რეგიონში – ინციდენტზე kutaisitoday.com წერს.

უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება თუ უკონტროლო სამმართველოს უფროსების ცემა-ტყეპა იმერულად. რამ გამოიწვია პოლიციის მაღალჩინოსნებს შორის დაპირისპირება, რომელიც ერთმანეთის ცხვირ-პირის დასისხლიანებით დასრულდა. დაისჯებიან თუ არა ისინი სამაგალითოდ იმ პოლიციელების თუ საზოგადების წინაშე, რომლებსაც ისინი წესრიგის დაცვისკენ მოუწოდებენ?

ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა ზესტაფონის სამმართველოს უფროსმა პავლე ბუბულაშვილმა და ტყიბულის სამმართველოს უფროსმა ზაზა ჩუბინიძემ ერთ-ერთ რესტორანში შელაპარაკების ნიადაგზე ერთმანეთი ხელჯოხებით სცემეს. დამტვრეულია ავეჯი და რესტორნის ინვენტარი. გავრცელებული ინფორმაციით, ადგილზე რამდენიმე გასროლაც მოხდა. უცნობია რესტორნის მდებარეობა, სადაც ჩხუბი მოხდა.

იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი მერაბ ჩიხლაძე ხელქვეითების უმსგავსო საქციელისთვის და ამავე დროს ხელმძღვანელი პირების არადროული ინფორმირებისათვის გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. ის ამ დრომდე კადრების დაქვემდებარებაშია გადაყვანილი

საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი ზაზა ჩუბინიძეს 2006 წელს უწყებაში მუშაობა აეკრძალა, თუმცა ის პირველი ოქტომბრის შემდეგ ქუთაისის სამხარეო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსად დაბრუნდა. მან პოსტზე ზურაბ გამეზარდაშვილი შეცვალა.

შს სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში განმარტავენ, რომ ზესტაფონისა და ტყიბულის სამმართველოს უფროსები კადრების დაქვემდებარებაში არიან გადაყვანილი. მათ მიმართ გენერალური ინსპექცია სამსახურებრივ შემოწმებას აწარმოებს. (kutaisitoday.com)

● **ვიღაცამ შეიძლება თქვას — პოლიციელიც ადამიანია, მით უმეტეს, ალკოჰოლს რომ გადაჰკრავს, კაცმა არ იცის, ნერვებმოშლილი რას იზამსო. ვაახ, კაცო, თუ ფორმა გაცვია, შე მამაცხონებულო, ცემა-ტყეპა არ უნდა გამართო, ეს ერთი. მეორე — თუ ღვინოს ვერ იტან, ყურძენი ჭამე, არ სჯობს?**

**და ყველაზე მთავარი — აი, ასეთი პოლიციელები რომ კანონის დაცვისკენ მოგიწოდებენ, ბორკილებს დაგადებენ და დაგაპატიმრებენ, არ გაგიჟდები და გადაირევი ადამიანი?! თან მაგათ იარაღი აქვთ, ჩვენ არა!?**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ვაა, ბატონო თამაზ, თქვენც „გევასებათ“ ფაშფაშა ქალები?



თამაზ მეჭიაური ფიქრობს, რომ რობი უილიამსის ნაცვლად უმჯობესი იქნებოდა, მთავრობას კიმ კარდაშიანი, ანდა — ჯენიფერ ლოპესი ჩამოეყვანა.

დეპუტატის თქმით, ასეთ შემთხვევაში მთავრობის მენეჯმენტი უფრო სწორი იქნებოდა.

– ალბათ, მმართველ გუნდს ეს კონცერტი აქტივში უნდოდა ჩაეწერა, მაგრამ თუნდაც ერთი უკანალის ჩვენებით ამდენი მილიონი უკუღმა შემოუტრიალდა. რამდენიმე ლგბტ ამომრჩეველი შეიძლება მათ დაემატათ, მაგრამ სამაგიეროდ, სხვა ხმები დააკარგინა. სწორი მენეჯმენტი რომ ჰქონოდათ, ალბათ, ჯობდა ჯენიფერ ლოპესი ან კიმ კარდაშიანი ჩამოეყვანათ. მართალია, იქ ლგბტ-ების ხმები შესაძლოა, დაეკარგათ, მაგრამ სამაგიეროდ, ასეთი ვაჟკაცების — აგერ, ოპერატორები რომ დგანან, ხმებს ნამდვილად მოიპოვებდნენ, — აღნიშნა თამაზ მეჭიაურმა პრესკონფერენციაზე. (fortuna.ge)

● **იმ კარდაშიანსა და ლოპესს რა ვუთხარი, რობი უილიამსის საჯდომს რომ ვერ გადაუჯოკრავენ, თამაზ ბატონო, ასიანი ხართ! მაგრამ რა მომენტია, იცით? რა დროს ლოპესია, კაცო, ან კარდაშიანი სად გაგახსენდათ, ხალხი მშიერია და ლუკმაპური ენატრება.**

**უკაცრავად და ტრაკებზე ფიქრის დროა ახლა? აბა, იმის ნაცვლად, რომ ის თქვათ — მთავრობის მენეჯმენტი უფრო სწორი იქნება, თუ ხალხს დააპურებს და დაასაქმებსო, ფაშფაშა ქალების ნახვა გსურთ. კარგით, რა, კაცო, კარგით, რა!..**

ნინო სამხარაძე
599 71-14-22





# „ნაცებთან“ ომი გმირებმა მოიგეს, ბოზებმა კიდევ პოსტები მოირგეს!



**ბატონო ბიძინა, ლამის წმინდანი გიწოდონ, მხოლოდ იმიტომ, რომ მავანნი თქვენგან მოწყალებას ელიან. მლიქვნელობის ჩემპიონატია თქვენს კარზე გამოცხადებული, ეგებ კიდევ 4 წელი უზრუნველად იცხოვრონ, ჯიბეში პარლამენტარის მანდატით... ხალხი კი, იმედგაცრუებიდან იმედგაცრუებამდე ცხოვრობს...**

„ოცნების“ „ბაღში“ „ნაციონალური მოძრაობა“ ის საფრთხობელაა, რომლის გარეშეც, „ქართულ ოცნებას“ არსებობა არ შეუძლია და თუკი ამ საფრთხობელას ჩამოვაცილებთ, ჩათვალეთ, რომ „ოცნება“, როგორც სახელისუფლებო ძალა, საბოლოოდ გაფარჩაკდება. უკვე მერამდენედ, „ბუა მოდის“ პრინციპით მუშაობს „ოცნების“ დამაარსებელი. ვინც ბიძინა ივანიშვილს 2016 წლის 30 მაისის ეპისტოლე დაუწერა, ის არის პოლიტიკურად ბეცი. რით ვერ გაიგეთ, რომ „ნაციონალების“ შიშით ეს ხალხი აღარ ცხოვრობს, როლები შეიცვალა და ახლა ყველას ერთად უნდა გეშინოდეთ ხალხის, რადგან წითელი ხაზები გადალახულია და ხალხი გაასამართლებს ხელისუფლებას არჩევნებში. ბიძინა ივანიშვილმა წერილში მიხეილ სააკაშვილი 13-ჯერ ახსენა, არც ერთი სხვა პოლიტიკური პარტია მისი ყურადღების ცენტრში არ მოხვედრილა. მან გაიმეორა ბადრი პატარკაციშვილის ცნობილი ფრაზები, რომ უკანასკნელ რესურსს დახარჯავს „ნაციონალების“ დასამარცხებლად. ბატონო ბიძინა, არის ერთი კარგი გამონათქვამი – „დაიჭირე დრო!“ თქვენ ეს დრო გაუშვით და პარლამენტში დატოვეთ დამნაშავე ძალა, დაუშვით მათთან კოჰაბიტაცია და ასე გახდა „ოცნება“ დანაშაულებრივი დაჯგუფების მფარველი, რომელიც პარლამენტში კი არ უნდა იჯდეს, პროკურატურაში ჩვენებას უნდა აძლევდეს და ქართველი ხალხის წინაშე ჩადენილი უდიდესი დანაშაულის გამო ასამართლებდნენ. „ოცნების“ ხელისუფლება დღეს, „ნაციონალური მოძრაობის“ მძევალია, სანამ სამართლიანობა არ აღდგება და არ დაისჯება ყველა ის პოლიტიკური ლიდერი თუ „ზონდერი“, ვინც ქართველებს გენოციდი მოუწყო, საქართველო, როგორც სახელმწიფო, ვერ შედგება და დემოკრატიაზე საუბარი ფარისევლობაა! ყველა ჯანსაღი ძალა მოგიწოდებდათ, ჩაგეტარებინათ რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები და ეს იყო ყველაზე სამართლიანი გზა, „ნაციონალების“ პოლიტიკური პროცესებიდან ჩამოსაშორებლად. ბატონო ბიძინა, შეგეძლოთ თქვენი რესურსი მაშინ დაგეხარჯათ და მსოფლიო განგაში აგეტეხათ, დაგედოთ დოკუმენტური მასალა, ადამიანების გაუპატიურების, წამების, მკვლელობების და დამნაშავეებისთვის პასუხი მოგეთხოვათ. მსოფლიო ხმასაც ვერ ამოიღებდა, თუკი თქვენს ხელისუფლებას ამის პოლიტიკური ნება ექნებოდა და თუკი მაგ კოალიციაში არ შეყრიდით ტურებსა და ლეშებზე დაგეშილ აფთრებს, რომლებიც მოსვლის დღიდან „ნაციონალების“ გადარჩენას დემოკრატიის მთავარ ამოცანად ისახავდნენ. ბატონო ბიძინა, სამწუხაროდ, ღორებს თქვენ მარგალიტები დაუყარეთ, არადა „ნაცებთან“ ომი გმირებმა მოიგეს, ბოზებმა კიდევ პოსტები მოირგეს! ამ ბელეტრისტიკას კი მხოლოდ თქვენი გულმხურვალე მხარდამჭერები დაიჯერებენ და ლამის წმინდანი გიწოდონ, მხოლოდ იმიტომ, რომ მავანნი თქვენგან მოწყალებას ელიან. მლიქვნელობის ჩემპიონატია თქვენს კარზე გამოცხადებული, ეგებ კიდევ 4 წელი უზრუნველად იცხოვრონ, ჯიბეში პარლამენტარის მანდატით... ხალხი კი, იმედგაცრუებიდან იმედგაცრუებამდე ცხოვრობს... პოლიტიკაში იცვლება მხოლოდ პოლიტიკური პოზიციები, არ იცვლებიან პოლიტიკური სახეები და... დროც კი დაბერდა ამათი შემყურე!!

**„გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი გიგლა ბარამიძე „ალიას“ კითხვებს პასუხობს:**

**– პოლიტიკაში ეპისტოლარული ჟანრის დამკვიდრებას ცდილობს ბიძინა ივანიშვილი. მეოთხე წერილი, მმართველობის ოთხი წლისთავზე... ივანიშვილი წერს, რომ უკანასკნელ რესურსს დახარჯავს და „ნაციონალების“ ხელისუფლებაში მობრუნებას არ დაუშვებს. „კოჯრის ტყის ზღაპრების“ აღარავის სჯერა, ხელისუფლებამ ისიც კი ვერ შეძლო, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ დამნაშავე პარტიად გამოეცხადებინა. ხომ არ ფიქრობთ, რომ ივანიშვილის ფორმულა, თუ ხმას არ მოგვცემთ, მგელი შეგჭამთო, „ოცნების“ ხელისუფლების წინააღმდეგ ამუშავდება? არადა, რა სასაცილოა, სულ ახლახან მისი პარტიის პოლიტსაბჭოს ახალმა წევრმა, დათო კოღუაშვილმა, გიგი უგულავასა და ივანე მერაბიშვილის ციხიდან განთავისუფლების განცხადება შეგვაპარა, მათ გარეთ ყოფნით შეუძლიათ, ქვეყანას მეტი სარგებელი მოუტანონ, ვიდრე ციხეში ჯდომითო... ესენი ჩვენ გველადავებიან, თუ ერთმანეთს „ეკაიფებიან“?**

> **უკვე მერამდენედ, „ბუა მოდის“ პრინციპით მუშაობს „ოცნების“ დამაარსებელი. ვინც ბიძინა ივანიშვილს 2016 წლის 30 მაისის ეპისტოლე დაუწერა, ის არის პოლიტიკურად ბეცი. რით ვერ გაიგეთ, რომ „ნაციონალების“ შიშით ეს ხალხი აღარ ცხოვრობს, როლები შეიცვალა და ახლა ყველას ერთად უნდა გეშინოდეთ ხალხის, რადგან წითელი ხაზები გადალახულია და ხალხი გაასამართლებს ხელისუფლებას არჩევნებში**

– რა თქმა უნდა, ეს არის იმ ფორმულისა და მოდელის გათამაშება, რაც ამათ 2012 წელს გააკეთეს, როდესაც ხალხი დაამუნათეს, თუ ჩვენ არ აგვირჩევთ, ისევ „ნაციონალები“ მოვლენო. ეს არის მოძველებული მეთოდი და მათ ძალიან კარგად უნდა იცოდნენ, რომ არ გამოუვათ ეს ამბავი, მაგრამ ცოტა არ იყოს შეურაცხმყოფელია საზოგადოებისთვის, არა მგონია, რომ კიდევ დაიჯეროს მოსახლეობამ ეს ზღაპრები და საერთოდ, „ნაციონალურ მოძრაობას“ და „ქართულ ოცნებას“ ერთმანეთი ჰაერივით სჭირდებათ. ერთმანეთს აპიარებენ ყველა მიმართულებით. მათ უნდათ, შექმნან ორი პოლარიზებული სისტემა – „ნაცებითა“ და „ოცნებით“, რომ სხვას არ მისცენ ადგილი პოლიტიკური გამარჯვებისთვის, მაგრამ ეს არ გამოუვათ!

**— და მაინც, რით ხსნით იმ ფაქტს, რომ ბიძინა ივანიშვილმა მის ვრცელ წერილში არც ერთი სხვა პარტია არ მოიხსენია, გარდა „ნაციონალური მოძრაობისა“?**

– იმიტომ, რომ მას არ აწყობს ჯანსაღი ოპონირება. ჯერ გვეუბნებოდა, ოთხ წელში იქნება შედეგიო, ახლა ვადები გაზარდა და 20 წელია საჭირო შედეგისთვისო. ბიძინა ივანიშვილის წერილის ჩამონათვალში რატომ არ იყოს ის, რასაც არჩევნებამდე დაგვპირდა და არ შეუსრულა მოსახლეობას. ამათ ვერც დანაშაულში ამხილეს, ვერც კოჰაბიტაცია აგვაცილეს, ვერც მკვლელები და სისხლის სამართლის დამნაშავეები დაიჭირეს და ჩამოიყვანეს, ვერც წართმეული ქონება დააბრუნეს, ვერც ეკონომიკური მდგომარეობა გამოასწორეს... ამით დაეწყო წერილის წერა, ანდა რა უშლიდა ხელს, ბოლოს რომ ეთქვა ხურჩის ამბავი. ეს არ იყო ხელისუფლების მინუსები?! მაგრამ აქ მეორეა, იცოდა რა, რომ სრულყოფილი არ იყო ეს ეპისტოლე, მიაწერა, რომ დეტალურად კითხვებს პასუხს გავცემ რამდენიმე დღეში ტელევიზიის საშუალებითო, იქაც დაიზღვია თავი, კიდევ უფრო სრულყოფილი სექტემბერში ვიქნები და ერთი წერილის გამოქვეყნებასაც ვაპირებო. მოკლედ, რაც საზოგადოებას აწუხებდა, ის არ თქვა და დამრჩა შთაბეჭდილება, რომ მას არ აქვს სრულყოფილი ინფორმაცია, რითია ამომრჩეველი დაინტერესებული.

**— „ნაციონალების“ ბოიკოტის ფონზე, საარჩევნო კოდექსში ცვლილებები ველარ შევა, ფიქრობთ, რომ საარჩევნო კოდექსის ჩავარდნა ორივე მხარის ინტერესშია და რას ფიქრობთ, პრეზიდენტის მიერ ვეტოდადებულ კანონზე, საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ?**

– ჯერ ერთი, უთავობაა, აქამდე რომ მიიყვანეს საარჩევნო კოდექსში გასატარებელი ცვლილებები და ახლა გერმანული მოდელი გახდა სახვეწარი, მაშინ როცა იყო დრო, თვითონ ეგენი ითხოვდნენ საარჩევნო კანონში ცვლილებებს. ეს არის მათი ეშმაკობა, დროის გაწელვა, როგორმე მიიტანონ თავი ტყუილებით არჩევნებამდე. რაც შეეხება კანონზე დადებულ ვეტოს, შეიძლება ვეტო დაძლიონ, არც ეს არის ლამაზი, თითქოს ერთი გუნდია, ერთი ინტერესია და პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ სილა გააწნა მმართველ გუნდს, როდესაც ჯერ ვენეციის კომისიას გადაუგზავნა საკონსტიტუციო კანონი, თითქოს ერთმანეთთან კონტაქტი არ ჰქონდათ წინა დღეებში, ახლა ვეტო დაადო და ეს იმის მანიშნებელია, რომ ყველანაირ დათმობასა და დაპირისპირებაზე წავლენ, ოღონდ როგორმე არჩევნებში პოზიციები შეინარჩუნონ, ამიტომ, ხალხო, ხომ ხედავთ, ივანიშვილი მეორედ მიდის იგივე წრეზე, ხმა მიეცით კონკრეტულ პარტიას არა ვიღაცის ხათრით, არამედ მათი გაკეთებული საქმეების გამო. ხელით რომ დაატარებდა მარგველაშვილს და ხალხს აშანტაჟებდა, ხმა მიეცით, თორემ ნაციონალები მოვლენო, ხომ ხედავთ, განუდგა და ერთმანეთი დაჭამეს. ჰოდა, რა გარანტია გვაქვს საპარლამენტო არჩევნებზე ხალხს რომ ჩამოატარებს, ისინიც არ განუდგებიან?!

**— ამ ხელისუფლებას დამოკლეს მახვილივით აწევს „რუსთავი 2“-ის სასამართლო პროცესი, ის ჩანაწერებიც გვახსოვს, სააკაშვილი რევოლუციური სცენარის ინსტრუქტაჟს რომ იძლეოდა. რას ფიქრობთ, არჩევნებამდე ხალვაშის ხელში გადავა ეს ტელევიზია? რას მიანიშნებს პრემიერ-მინისტრის განცხადება, 7 ნოემბრის „შემოქმედის“, ჟურნალისტის მანტიაში გამოწყობილი, პროკურორის, ნიკა გვარამიას შესახებ, რომელსაც მოუწოდა, თავხედური განცხადებების კეთება შეეწყვიტოს?**

– „რუსთავი 2“ რომ „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერი მედიასაშუალებაა, ეს ხომ ყველამ იცის და არც თვითონ მალავენ ამას, მაგრამ აქ არის მეორე საკითხი. რატომ ხდება ბიზნესმენის, ქიბარ ხალვაშის ამოტივტივება ყოველთვის მაშინ, როცა ქვეყანაში დაძაბულობის წინაპირობებია, ან რა საჭირო იყო არჩევნების წინ ამხელა ხმაურის ატეხა. ხომ იცოდნენ, რომ ეს ძალიან ბევრ შეკითხვას გააჩენდა როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე დასავლეთში, ჩვენ ძალიან ბევრ რამეში არ ვეთანხმებით ამ ტელევიზიას, მაგრამ, რომ დადუმდეს, თუნდაც ასეთი ტელევიზია, ამას არანაირად არ ვიზიარებთ. გინდათ გითხრათ, რა მოხდება? იხმაურებენ, აუწევენ რეიტინგს „რუსთავი 2“-დან გამომდინარე „ნაციონალურ მოძრაობას“, დღის წესრიგში იქნება ეს საკითხი, არჩევნები კარს მოგვადგა და საბოლოო ჯამში ეს ყველაფერი ამათ წისქვილზე დაასხამს წყალს, მეტი არა ჩემი მტერი, „რუსთავი 2“-ს დაუხურონ გადაცემები და სარედაქციო პოლიტიკა შეუცვალონ, ამის თავი ამათ არ აქვთ. დამისახელონ ნებისმიერი საკითხი, როდესაც დღევანდელ ხელისუფლებას უკან არ დაუხევია, ამის პარალელურად ნახეთ, რას ეშმაკობენ, უცბად თვითონ დაიწყეს ზრუნვა არასაპარლამენტო პარტიებზე და საეთერო დროს თანაბრად უნაწილებენ, მაგრამ ვის ხარჯზე? დამატებით კი არ აძლევენ საეთერო დროს, თვითონ „ქართული ოცნება“ კი არ იკლებს საეთერო დროს, არამედ იმ სამ პარტიას უმცირებენ საეთერო დროს, რომლებმაც თავისი დამსახურებით მოიპოვეს კვალიფიციური სუბიექტის სტატუსი, ესენი გახლავთ „გაერთიანებული დემოკრატები“, „ლეიბორისტები“ და „პატრიოტთა ალიანსი“, ჩვენი კუთვნილი დრო უნდათ, რომ სხვა პარტიებს გადაუნაწილონ, ეს არ არის მუხანათობა?! აპირებენ ამ საკითხის პარლამენტზე გატანას და ჩვენ ამას ასე არ დავტოვებთ, იქნება ძალიან მკაცრი რეაქცია!

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## შპს „მაგთიკომისა“ და შპს „კავკასუს ონლაინის“ ერთობლივი განცხადება

მოხარულები ვართ გაცნობოთ, რომ შპს „მაგთიკომსა" და შპს „კავკასუს ონლაინს" შორის მიმდინარე წლის 30 მაისს ხელი მოეწერა საოპერაციო აქტივების ნასყიდობის ხელშეკრულებას.

„კავკასუს ონლაინის“ კორპორაციული და საცალო მომსახურებისთვის საჭირო საოპერაციო აქტივების „მაგთიკომისთვის“ გადაცემის პროცესი, სავარაუდოდ, 2016 წლის 1-ელ აგვისტოს დაიწყება, რამდენიმე თვე გაგრძელდება და მიმდინარე წლის ბოლომდე დასრულდება.

მომხმარებლებს წინასწარ ვაცნობებთ თარიღს, როდიდან გაუწევს მათ „მაგთიკომი“ საკაბელო ინტერნეტის, ინტერნეტტელევიზიისა და ფიქსირებული ტელეფონის მომსახურებას.

ინტეგრაციის პროცესში მომხმარებლებს შეუფერხებლად, უწყვეტ რეჟიმში მიეწოდებათ მომსახურება.

**„მაგთიკომი“ საქართველოში პირველი და ერთადერთი ოპერატორია, რომელიც სრულ ოთხმაგ სერვისს შესთავაზებს მოსახლეობას:**

**1. მობილური ტელეფონია**
**2. ფიქსირებული ტელეფონია (რადიო და საკაბელო)**
**3. ინტერნეტი (მობილური და საკაბელო)**
**4. ტელევიზია (თანამგზავრული და IPTV)**

## გიორგი ისაკაძე „მაესტროდან“ გაათავისუფლეს



გადაცემა „ბიზნეს კონტაქტისა“ და „საქმიანი დილის“ თანამშრომლები ადასტურებენ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ აღნიშნული გადაცემების ავტორი და წამყვანი გიორგი ისაკაძე ტელეკომპანიიდან გაუშვეს. არსებული ინფორმაციით, ტელეკომპანიის გენერალურმა დირექტორმა ისაკაძეს სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ელექტრონული ფოსტით შეატყობინა. (ნიუპოსტი)

## შპს „მტკვარი ენერგეტიკა“ განმეორებით აცხადებს №MT-2016-5 ფასთა ღია გამოკითხვას OBTO01 ტიპის სარეზერვო ტრანსფორმატორის მიმდინარე შეკეთებასთან დაკავშირებით

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალების და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ შპს „მტკვარი ენერგეტიკა’’-ს შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ან დაუკავშირდით ტელეფონის ნომერზე: +995 599 567520.

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას შპს „მტკვარი ენერგეტიკა"-ს კანცელარიაში მისამართზე: გარდაბანი, ალმაშენებლის ქ№2ა

*წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2016 წლის 14 ივნისი 15 საათი.*




იმედი L
ჯანმრთელობის დაზღვევა

დასაქმდი იმედი L-ში!
გახდი ჩვენი სადაზღვევო აგენტი:

- თუ ხარ ენერგიული და გსურს, მართო შენი წარმატებული კარიერა
- თუ გსურს, გქონდეს საკუთარი შემოსავალი
- თუ გსურს, იმუშაო თავისუფალი გრაფიკით

agents@imediL.ge 2 922222 imediL.ge fb.com/imediL

# „ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ მერიის კიდევ ბევრი მაღალჩინოსანი იღებს ქრთამს და კონკრეტული „სტავკების“ არსებობს“

დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80

**მონიტორინგის ცენტრი „მედიატორი“ ქალაქის მერიის მიერ, კონკრეტულ კომპანიებთან, ერთ პირთან მოლაპარაკების გზით გაფორმებული მილიონობით ლარის საკითხით ინტერესდება.**

**რის საფუძველზე გაუფორმა კერძო კომპანიებს მერიამ 2014-15 წლებში 160 მილიონ ლარზე მეტი, ხოლო მიმდინარე წელს — 48 მილიონი ლარი? „ალიას“ მონიტორინგის ცენტრ „მედიატორის“ დამფუძნებელი, ლევან ხაბეიშვილი ესაუბრა:**

– ჩვენი კვლევის მიხედვით, დედაქალაქის მერიამ გასული წლის რულების გაფორმების ერთგვარი წინაპირობაა. ამასთანავე, ის, რომ მერიაში სისტემური კორუფცია მძვინვარებს, ქრთამის აღების ფაქტებზე მიმდინარე დაჭერებითაა დადასტურებული.

**— თუ დაინტერესდით იმ კომპანიებით, რომლებთანაც თბილისის მერია ამ ხელშეკრულებებს აფორმებდა?**

– 2016 წელს, ანუ მას შემდეგ, რაც არასამთავრობო ორგანიზაციები, ოპოზიციაში მყოფი ადამიანები ეჭვქვეშ აყენებდნენ ამ 160 მილიონის საკითხს, დავინტერესდით იმ კომპანიებით, რომლებთანაც ყველაზე დიდი ოდენობის თანხებზე აფორმებდა თბილისის მერია ერთ პირთან მოლაპარაკების გზით ხელშეკრულებებს. ჩვენი ჯეტიდან, მხოლოდ საქალაქო სამსახურებიდან და ხაზს ვუსვამ, არა გამგეობებიდან და თბილისის განვითარების ფონდიდან, ჯამში, ერთ პირთან მოლაპარაკების გზით 48 მილიონი ლარის ხელშეკრულებებია გაფორმებული. ეს ხდება ყოველგვარი ტენდერის გარეშე.

საგულისხმოა, რომ ამ 48 მილიონი ლარიდან, 29 მილიონი ლარი გაფორმებულია შპს-ებთან და ინდმეწარმეებთან, რომელთაგანაც 15 მილიონი ლარი, მხოლოდ 4 კომპანიაზე მოდის. ამ კომპანიებს შორის არის კომპანია „ჯეოგრუპი“, რომელმაც ერთ პირთან მოლაპარაკების გზით მიიღო 5 მილიონი ლარის ღირებულების ხელშეკრულება.

ამავე კომპანიამ წელს გამადღება ამ კომპანიაზე?

– პირველ რიგში, იმიტომ, რომ ყველაზე მსუყე რიცხვები ამ კომპანიის მიმართაა მიმართული და ასევე, ამ კომპანიის მუშაობა უკავშირდება იმ პერიოდს, როდესაც დავით ნარმანია იყო რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი. ამ კომპანიის ისტორიაში ჩანს, რომ ვიდრე ის მინისტრი გახდებოდა, ამ კომპანიას, სხვა სახელმწიფო დაწესებულებებიდან, არასდროს მიულია შეკვეთა. პირველი შეკვეთა 2013 წელს გაუფორმა ნარმანიას სამინისტრომ და მან სამშენებლო







მანძილზე, ერთ პირთან მოლაპარაკების გზით, 100 მილიონ ლარზე მეტი ღირებულების ხელშეკრულებები გააფორმა. საერთო ჯამში კი, 2014-2015 წლებში ერთ პირთან მოლაპარაკების გზით გაფორმებულმა ხელშეკრულებებმა, 160 მილიონს გადააჭარბა.

როდესაც ერთ პირთან მოლაპარაკების გზით გაფორმებულ ხელშეკრულებებზე ვსაუბრობთ, არ დაგავიწყდეთ, რომ ასეთ დროს, ტენდერებთან შედარებით, მინიმუმ 10-15%-ზე მეტი იხარჯება. როდესაც სახეზე გვაქვს 160 მილიონის ღირებულების ერთ პირთან მოლაპარაკების გზით დადებული ხელშეკრულება, ალბათ, ყველა აცნობიერებს, რა დონის კორუფციულ გარიგებებთან გვაქვს საქმე, მით უმეტეს, როცა ვიცით, რომ ქალაქში არ განვითარებულა მოვლენები იმრიგად, რომ აუცილებელი ყოფილიყო, დაჩქარებული წესით გაფორმებულიყო ხელშეკრულება ერთ პირთან მოლაპარაკების გზით, რაც ამ სახით ხელშეკკვლევის შედეგად, გამოიკვეთა მერიის რამდენიმე ფავორიტი კომპანია – დაგი, ჰელმოიდი და ა.შ. მოკლედ, სახეზეა რამდენიმე ერთეული კომპანია, რომლებიც მილიონობით ლარის ხელშეკრულებებს უფორმებდნენ.

ამავდროულად დავიწყეთ 2016 წლის მანძილზე, ანუ ამ წლის იანვრიდან 22 მაისამდე მერიის მხრიდან გაფორმებული ერთ პირთან მოლაპარაკების გზით გაფორმებული ხელშეკრულებების დათვლაც და მივიღეთ ასეთი შედეგი – მხოლოდ დედაქალაქის ბიურთულ ტენდერებში მოიგო 2 მილიონი ლარი. ანუ მარტო ერთმა კომპანიამ, ამ რამდენიმე თვეში მიიღო 7 მილიონის ხელშეკრულება, ხოლო იმავე კომპანიამ, გასულ წელს 5 მილიონის ოდენობის ხელშეკრულება მიიღო, ისევ დედაქალაქის მერიიდან და მათ შორის მილიონ 200 ათასი ტენდერის გარეშე. საერთო ჯამში, მარტო ამ ერთ კომპანიას, თბილისის მერიამ გადაურიცხა დაახლოებით 12 მილიონი ლარი. საუბარია წელიწად-ნახევარზე.

**— რატომ გაამახვილეთ ყურა**სამუშაოებზე მიიღო სამი ხელშეკრულება – 179,11 და 80 ათასი ლარის ოდენობის, რამაც ჯამში შეადგინა, დაახლოებით, 300 ათას ლარი. თუ ამას მივუმატებთ უკვე ბოლო დროს გაფორმებულ ხელშეკრულებებს, მივიღებთ, რომ ამ კომპანიას მერიამ გაუფორმა დაახლოებით 13 ათასი ლარის ხელშეკრულება.

ამასთანავე, 19 მილიონი, თბილისის მერიამ მისივე დაფუძნებულ კომპანიას „სინათლის ქალაქს“ გადაურიცხა. დედაქალაქის ბიუჯეტი საერთო ჯამშია 815 მილიონია და გამოდის, რომ მთლიანი ბიუჯეტის დაახლოებით 10-20% ტენდერების გარეშე, დიდი ალბათობით კორუფციულ გარიგებებში იფლანგება. ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ მერიის კიდევ ბევრი მაღალჩინოსანი იღებს ქრთამს და კონკრეტული „სტავკებიც“ არსებობს, რაზეც მოკლე ხანში გვექნება ხმაურიანი კვლევის ანგარიში.

მეტსაც გეტყვით, 2012 წლის შემდეგ, ანუ მას მერე, რაც „ქართული ოცნება“ მოვიდა ხელისუფლებაში, ერთ პირთან მოლაპარაკების გზით, ანუ ტენდერის გარეშე, სახელმწიფო დაწესებულებებიდან 2 657 ხელშეკრულებაა გაფორმებული. ასევე, ვითვლით, ეს რამდენი მილიონია ჯამში და ამაზეც გესაუბრებით უახლოეს მომავალში დაწვრილებით. ჯერ, დაახლოებით 20%-ია დათვლილი და ჯამში უკვე 7 მილიონია და უმეტესი ნაწილი დასათვლელია...

# ვაახ, გვაშინებთ,

## რას და რატომ გვწერს

მიხეილ სახვაძე
599 93-28-03



კაცმა რომ თქვას, რა წესია სხვისი წერილების კითხვა, მაგრამ რადგან წერის ხასიათზე დამდგარა ბიძინა ივანიშვილი, თანაც ადრესატი მთელი საზოგადოებაა, წავიკითხოთ, გავეცნოთ, შევაჯამოთ, ჩავუფიქრდეთ და ვიკამათოთ კიდეც. მით უმეტეს, ინტერნეტის საუკუნეში წერილი რაღაცნაირად რომანტიკულიც კია...

ის, რომ ბიძინა ივანიშვილი წერილის გამოქვეყნებას აპირებდა, „ქართული ოცნების" ყრილობის შემდეგ გახდა ცნობილი და როცა ეს დღეც მოახლოვდა, 29 მაისს, კვირას „ალია" მთელი დღის მანძილზე ცდილობდა, უსტარი მოეპოვებინა, თუმცა უარი მივიღეთ – ინტერნეტში გავრცელდებაო. ასეც მოხდა – ბიძინა ივანიშვილის წერილი ორშაბათს, შუადღისთვის გავრცელდა, ამიტომ „ყოველკვირეულ ალიაში" მკითხველს შევთავაზეთ ყოფილი პრემიერის წერილი, რომელიც მან 4 წლის წინათ დაწერა და რომელიც დაპირებებით იყო დახუნძლული.



ამჯერად რაიმე კონკრეტული დაპირება წერილში საერთოდ არ არის, ვთქვათ, აი, ასეთი: საშემოსავლო შემცირდება, პენსია გაიზრდება, ბოსტანში „ფირმა" ბოლოკს დაგირგავთ და ასე შემდეგ. უცნაური კია, მაგრამ კონკრეტული დაპირებების ნაცვლად, ახალი წერილი ძველის შეხსენებით იწყება, რაზეც ქვემოთ ძალიან ბევრს ვისაუბრებთ...

აქვე იმასაც დავამატებ, რომ რედაქციაში არაერთმა მკითხველმა დარეკა, უფრო მეტად – პენსიონერმა და გვთხოვა, არ ვიცით ეს ინტერნეტი და კომპიუტერი, იქნებ დაგვეხმაროთ და გაგვაგებინოთ, რას გვწერს ბიძინა ივანიშვილიო.

ჰოდა, რადგან თავად არ იზრუნა ბიძინა ივანიშვილმა, რომ წერილი ყველასთვის ხელმისაწვდომი ყოფილიყო, „ალია" მკითხველს თხოვნას უსრულებს, ოღონდ ვთავაზობთ წერილის შემოკლებულ ვარიანტს, რომელსაც ჩვენეულ შეფასება-მინაწერებსაც დავურთავთ.

### ბატონო ბიძინა, როცა გაიგეთ, რა გააკეთეთ, გაფიცებთ ყველაფერს?!

მოკლედ, საქმე ამგვარადაა – „დაჯდა წერად წერილისა" ბიძინა ივანიშვილი და დაახლოებით ასე იწყებს ხალხთან საუბარს: „რომელმან დასცა „ნაცმოძი", ძალითა მით ძლიერითა"...

ჰოდა, მეც მეტი რა დამრჩენია – „აწ ენა მინდა გამოთქმად, გული და ხელოვანება", რათა ისე შევაფასო ყოფილი პრემიერის უსტარი, გაჩენილ კითხვებს გემრიელი პასუხები გავცე.

როგორც უკვე გითხარით, ახალი წერილი ძველის შეხსენებით იწყება. თავიდან კი ვიფიქრე, ძველზე საუბრით მკითხველს თავს არ შევაწყენ-მეთქი, მაგრამ რამდენიმე ისეთი წინადადება ამოვიკითხე, სადაც ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში მოსვლის მიზეზებს განმარტავს, გვერდს ვერ ავუვლი და აი, რატომ:

**„ვფიქრობ, უახლოესი წარსული ჯერ არავის დავიწყებია, თუმცა, დასაწყისში მაინც უნდა გავიხსენო, რამ გადამაწყვეტინა პოლიტიკაში მოსვლა.**

**• „ნორმად იქცა დემონსტრაციების აგრესიული დარბევა, მონაწილეების დაუზოგავად, უმოწყალოდ ცემა და დევნა, ხოლო 26 მაისის აქციის დარბევის შემდეგ, არიან მოკლულები და დაკარგულები".**

**• „დამთრგუნველია ყველა იმ სიცრუის მოსმენა, რაც საინფორმაციო საშუალებებიდან მოედინება. ყოველდღიური ტრაბახი და ტყუილების კორიანტელი სააკაშვილის მიღწევების შესახებ უაღრესად შეურაცხმყოფელია".**

**• „სიცრუის მანქანა მთელი ძალით მუშაობს ადამიანთა ტვინების გამორეცხვაზე და მოდელირებული ვირტუალური ფსევდორეალობის რეალობად და სინამდვილედ წარმოსაჩენად. ძნელია, გაარჩიო, ვინ ტყუის და ვინ ამბობს სიმართლეს!"**

**ქვეყნის ყველა გულშემატკივარი მოქალაქე დამეთანხმება, რომ ამ შეფასებებში არაფერი იყო გადაჭარბებული. პირიქით, მაშინ ბევრი რამ ჯერ კიდევ არ ვიცოდით. რეალური სურათი იმაზე ბევრად მძიმე აღმოჩნდა, ვიდრე წარმოგვედგინა!"** – იხსენებს ბიძინა ივანიშვილი.

„Камера! Мотор!" – აქ გონებაში კადრებად წამოტივტივდა 26 მაისს დასისხლიანებული ადამიანების ცხვირ-პირი და თავისთავად გაჩნდა კითხვა – ვინ დაისაჯა „ბართლომეს ღამის" გამო?!

არა, მაგარია, ბატონო ბიძინა, ამ ამბების გახსენებით რომ იწყებთ – გვაჩვენეთ, რა, 26 მაისის გამო დასჯილი ხალხი, შეიძლება? სამწუხაროდ, ვერ გვაჩვენებთ და ისეთი საწყენია ეს ამბავი, ვერ წარმოიდგენთ.



**„არც მკრეხელობაში ჩამითვალოთ, არც გაზვიადებაში, არც გადაჭარბებაში, მაგრამ თავის დროზე, როდესაც ილია ჭავჭავაძე თავის პუბლიცისტურ წერილებს აქვეყნებდა, დიდი ფასი და დიდი როლი ჰქონდა მის სიტყვას. არის თუ არა ის ილია ჭავჭავაძე, ამას პირდაპირ არ ვამბობ, რადგან ეს თვითონ არ მოეწონება, მაგრამ ჩვენ თუ დავაკვირდებით, გავა დრო... ჩვენ კიდევ არ ვიცით ამ ადამიანის ფასი".**

იმასაც ამბობთ, სიცრუის მოსმენა დამთრგუნველიაო, ანუ „ნაცები" გვატყუებდნენ, ხომ? უაზროდ ტრაბახობდნენ, ხომ? და ტყუილების კორიანტელსაც აყენებდნენ, არა? და შეიცვალა ეს ამბები? არა, პატივცემულო, არ შეცვლილა და „ნაცმოძრაობა" დღესაც ზუსტად იმას აკეთებს, რასაც იმ ავად მოსაგონარ წლებში. ისევ მუშაობს სიცრუის მანქანა, ისევ იმათ ლაქლაქსა და ბაქიაობას ვისმენთ და თქვენდა სამწუხაროდ, ქვეყნის ყველა მოქალაქე თანხმდება იმაზე, რომ ყველაზე მთავარი დაპირება, რომელიც სამართლიანობის აღდგენასა და „ნაცების" პასუხისგებაში მიცემას ეხებოდა, პრაქტიკულად, არ შესრულებულა!

და კიდევ ერთი – ტრაბახი და ტყუილების ბრახაბრუხი არც „ოცნების" ხელისუფლებას აკლია.

„მაშინ ბევრი რამ ჯერ კიდევ არ ვიცოდითო", – რომ ამბობთ, ბატონო ბიძინა, როცა გაიგეთ, რა გააკეთეთ, გაფიცებთ ყველაფერს?!

### ჰოდა, რომ მოხვედით, ბატონო ბიძინა და ხალხის დახმარებით გაიმარჯვეთ, სად წახვედით, კაცო, ჰა?!

**„ერთ დიდ ციხედ გადაქცეული მთელი ქვეყანა, ასეულობით ათასი პატიმარი და პრობაციონერი იმას ნიშნავდა, რომ ლამის მთელი მოსახლეობა პატიმრების ჭირისუფლად იყო ქცეული და ციხის კარს შეჰყურებდა. ტოტალური მოსმენები, თვალთვალი, ფარული გადაღებები, დასმენა და შანტაჟი ჩვეულებრივ მოვლენად აღიქმებოდა. ხელისუფლება სრულად აკონტროლებდა მედიას და ისიც ამბობდა და აჩვენებდა მხოლოდ იმას, რასაც კარნახობდნენ. ქვეყანას მძიმე ტვირთად აწვა ელიტური კორუფცია, ერთ პატარა ჯგუფს ყველაფრის უფლება ჰქონდა, დანარჩენს – არაფრის. ადამიანები დაშლილ ტელეფონებს მალავდნენ და საკუთარ ოჯახებშიც კი ჩურჩულით საუბრობდნენ. ვისაც ხელისუფლების მიმართ კრიტიკულ დამოკიდებულებას შეატყობდნენ, სამსახურებიდან აგდებდნენ, ქონებას ართმევდნენ, სცემდნენ, აპატიმრებდნენ, ციხეში სასტიკად აწამებდნენ და თუ საჭიროდ მიიჩნევდნენ, კლავდნენ კიდეც!**

**ორმაგი სტანდარტით მართავდნენ ქვეყანას – სინამდვილეში სულს ხდიდნენ ადამიანებს, სხვების დასანახად კი, დემოკრატიის შუქურად მოჰქონდათ თავი.**

**ამ უსამართლობასა და განუკითხაობას აგვირგვინებდნენ დაქირავებული მეხოტბეები, რომლებიც ტაშის კვრით ხელისგულებს იტყავებდნენ და „მიშა, მიშას" გაჰყვიროდნენ.**

**ძალაუფლებით გათავხედებული სააკაშვილის კლანი განუსაზღვრელი ვადით გეგმავდა ხელისუფლებაში დარჩენას. ისინი ღიად ქადაგებდნენ ქართველი კაცის ძირისძირობამდე გარდაქმნისა და რაღაც „ახალი ადამიანის" ჩამოყალიბების აუცილებლობის შესახებ, რაც სინამდვილეში ადამიანებისთვის ტვინების გამორეცხვას და ყველაფრის მკადრებელ ზომბებად გაწვრთნას ნიშნავდა. ისინი არავის ინდობდნენ, ვისი ავტორიტეტიც ამ მიზნის განხორციელებაში ხელს უშლიდათ და ამიტომ ებრძოდნენ ასე თავგამოდებით პატრიარქსაც და მთლიანად ეკლესიას.**

**უიმედობის გაჩენას ყველაზე მეტად ის უწყობდა ხელს, რომ არჩევნები ტოტალურად ყალბდებოდა, ხელისუფლება არავითარ მორიდებასა და პასუხისმგებლობას აღარ გრძნობდა მოსახლეობის წინაშე.**

**სააკაშვილის გუნდი განუწყვეტლივ საუბრობდა დასავლეთთან ინტეგრაციაზე, თუმცა, მათი მიზანი არასდროს ყოფილა ქვეყნის ევროპეიზაცია, რაც, უპირველესად, განვითარებულ დემოკრატიასა და თავისუფალი ადამიანებისგან შემდგარ სამოქალაქო საზოგადოებას გულისხმობს.**

**სინამდვილეში, სააკაშვილის მართვის სტილი იყო სრულიად ანტიევროპული და ადამიანების დათრგუნვა-დამორჩილებას ისახავდა მიზნად. სწორედ ამ ფსევდოევროპელობამ და ფასადურმა დემოკრატიამ შეუწყო ხელი საზოგადოების ერთ ნაწილში ანტიდასავლური და ანტილიბერალური განწყობების გაღვივებას, რაც ძალიან სახიფათოა ჩვენი ქვეყნისთვის".**



„მისი მთავარი პრობლემა ქართული საზოგადოებაა, რომელსაც იმედი ვერ გაუმართლა და ამბობს, რომ მას არცერთი პოლიტიკური ძალა არ მოსწონს. მუდმივად პროცესების ისე წარმართვა, რომ მე თუ არ ამირჩევ ბუა მოვა და შეგჭამს არ არის კარგი".

აუხ, რა საშინლად ხვდება ყურს ეს სიტყვები, ბატონო ბიძინა, ვერ გადმოგცემთ: „ტოტალური მოსმენები, თვალთვალი, ფარული გადაღებები"; „ციხეში სასტიკად აწამებდნენ და თუ საჭიროდ მიიჩნევდნენ, კლავდნენ კიდეც!"; „ძალაუფლებით გათავხედებული"; „ებრძოდნენ თავგამოდებით პატრიარქსაც და მთლიანად ეკლესიას";

– ტოტალური მოსმენებისა და თვალთვალის ისეთი სკანდალები იყო „ქართული ოცნების" პირობებში, მტერს რომ გულს გაუხარებდა!

– ციხეში რომ სასტიკად აწამებდნენ, აუპატიურებდნენ და კლავდნენ, დაისაჯა ყველა დამნაშავე?

– ძალაუფლებით გათავხედება ალბათ, ზოგადად, ადამიანის ბუნებიდან გამომდინარეობს, რაც ძალიან სამწუხაროა და ასეთი ახლაც უამრავია!

– პატრიარქისა და ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლის, მართლმადიდებლობის შეურაცხყოფის მასშტაბები დღესაც თვალუწვდენელია, ჩემო ბატონო!

იმასაც გეტყვით, ბატონო ბიძინა, რომ მაამებლების არმია არც



„საზოგადოების ძალიან დიდმა ნაწილმა, სანამ ბიძინა ივანიშვილი ამას მიხვდებოდა და გაიგებდა, უკვე ძალიან კარგად იცოდა რაც იყო „ნაციონალური მოძრაობა". მას ბიძინა ივანიშვილი სჭირდებოდა იმისთვის, რომ „ნაციონალური მოძრაობისთვის" საბოლოო განაჩენი გამოეტანა ვილაცას. საზოგადოება აღარ აღიქვამს, რომ კვლავ „ნაციონალური მოძრაობის" დამარცხების ეპოქაა".

# ბატონო ბიძინა?!

## მილიარდერი ერისკაცი



თქვენ და არც „ქართულ ოცნებას“ აკლია და თუ მაშინ „მიშა, მიშა“ იყო მოდაში, ახლა „ბიძინა, ბიძინაა“ და შესაბამისად, არც არაფერი შეცვლილა.

ჰო, კიდევ ის, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ დროს „ალიას“ არც ერთი სასამართლო პროცესი არ წაუგია, რასაც ვერ ვიტყვით „ქართული ოცნების“ მმართველობაზე; არც ათობით ათასი ლარის გადახდა დაუკისრებია სრულიად უსამართლოდ მედიის არც ერთი საშუალებისთვის მონა მოსამართლეებს!

**„ნათელი გახდა, რომ საზოგადოებას მოჯადოებული წრის საკუთარი ძალებით გარღვევის რესურსი აღარ ჰქონდა დარჩენილი და მეც მძიმე არჩევანი დამიდგა: ან იმ რეალობას უნდა შევგუებოდი, რომ ჩემი სამშობლო, ჩემი ხალხი ათწლეულებით ამ კოშმარში დარჩებოდა, ხელი ჩამექნია, წავსულიყავი და თავი უცხოეთისთვის შემეფარებინა, ან უნდა დავრჩენილიყავი და მებრძოლა.**

**არ დავმალავ, რთული იყო გადაწყვეტილების მიღება, რადგან პოლიტიკური საქმიანობა არასდროს მაინტერესებდა და ამასთანავე, არსებული რეჟიმის ხასიათიდან გამომდინარე, ეს ძალიან სახიფათო იქნებოდა ჩემთვის და რაც მთავარია, ჩემი ოჯახისთვის; თუმცა, საბოლოოდ,**



„არც ერთი კონკრეტული სამომავლო დაპირება. მხოლოდ ტრაბახი და ტყუილები, რომ საქართველო აყვავდა და თითქოსდა ყველაფერი კარგად არის. მთელი წერილი ეძღვნება „ნაციონალურ მოძრაობას“ და არა იმას, როგორ მოაგვარებს ის ადამიანების პრობლემებს“.

**სწორედ ოჯახმა, ჩემმა უახლოესმა ადამიანებმა გადამაწყვეტინეს ქვეყანაში დარჩენა და ბრძოლის დაწყება. ჩემი მაშინდელი განწყობის გადმოსაცემად ისევ გავიხსენებ რამდენიმე ნაწყვეტს 2011 წლის წერილიდან:**

- **„ბევრი სვამს კითხვას და ბევრს უკვირს, მე, წარმატებულმა ბიზნესმენმა, ყოველმხრივ უზრუნველყოფილმა ადამიანმა, რატომ შევაგდე ყველაფერი სასწორზე და რატომ გადავწყვიტე პოლიტიკაში მოსვლა? ამ კითხვაზე პასუხი ძალიან მარტივია. იმიტომ, რომ ვხედავ, სამშობლო მეკარგება, ხოლო როდესაც სამშობლო გეკარგება, არაფერს არ აქვს ფასი, არც ქონებას, არც ფულს, არც პრივილეგირებულ**



„ბიძინას ჩართულობა გარკვეულწილად გააძლიერებს „ოცნებას“, მაგრამ ის არ იქნება იმხელა ეფექტის მატარებელი, როგორც 2012 წელს იყო“.

**მდგომარეობას“.**

- **„შეცდომა იყო, საქართველოდან წასვლა რომ დავაპირე. წასვლა ერთია, მაგრამ მერე რა პირით უნდა დაბრუნდე უკან, როცა შენს ქვეყანას იმ დროს მიატოვებ, როცა ძალიან უჭირს. როცა დაბრუნდები, დაგხვდება კი აქ ქვეყანა?!“**
- **„ჩემმა უახლოესმა ადამიანებმა დამარწმუნეს, რომ ვცდებოდი, თუმცა, არც იმის უთქმელობა ივარგებს, რომ ჩემი ოჯახიც, სხვა ქართული ოჯახებივით, ორი წლის განმავლობაში ჩურჩულით ველაპარაკებოდით ერთმანეთს, მაგრამ ერთმანეთის იმედითა და თანადგომით შიში ვძლიეთ“.**

**აი, ასეთი ვითარება და განწყობა სუფევდა მაშინ ქვეყანაში და, რასაკვირველია, ჩემზე გაცილებით მძიმე მდგომარეობაში იყო ძალიან ბევრი ჩემი თანამოქალაქე“.**

იყო დრო და მომენტი, ბატონო ბიძინა, როცა მიხეილ სააკაშვილს ატალახებული ჰქონდა „ალიას“ რედაქცია და იმასაც ამბობდა – „მე ვადასტურებ იმ ფაქტების სისწორეს, რაც „ალიაში“ იწერებაო“.

ფაქტია, მაშინ ასე აწყობდა ვაჟბატონს და როგორც კი ხელისუფლებაში მობრძანდა და ძალაუფლებას გემო გაუსინჯა, გაუტია და რა გაუტია. ჰოდა, „ალიამაც“ ბუნებრივია, უარი არ თქვა, მისი რეალური სახე დაენახვებინა საზოგადოებისთვის, რასაც ის შედეგი მოჰყვა, რომ ყველა ბრუნვაში გვლანძღავდა, იმუქრებოდა, მუშტებზე იყურებოდა, მაგრამ წლების მანძილზე „ალიას“ ერთხელაც არ დაუხევია უკან და ბოლომდე რქებით აწვებოდა „ნაციონალური მოძრაობის“ რეჟიმს. „ალიას“ თითოეული ჟურნალისტი რისკავდა არა მხოლოდ საკუთარი, არამედ ოჯახის წევრების სიცოცხლითაც, მაგრამ სააკაშვილს კბილებში მაინც გამეტებით ურტყამდა და თან ისე, რომ საზღვარგარეთ გადახვეწის არც საშუალება ჰქონია და არც – სურვილი.

რაც შეეხება იმას, რომ თქვენ სააკაშვილი მოაშორეთ ქვეყანას, ჰო, ასეა, მაგრამ ხალხის გარეშე ამას ვერ იზამდით, ჩემო ბატონო. იმ ხალხის გარეშე ვერ იზამდით, რომლებიც გენდნენ, საკუთარი სიცოცხლე სასწორზე შემოდეს, სისხლიან რეჟიმს დაუპირისპირდნენ და თან ისე, რომ საზღვარგარეთ გადახვეწის არც სურვილი ჰქონდათ და არც შესაძლებლობა. ისინი ვა-ბანკზე წავიდნენ, მაგრამ დღეს ისევ ისმენენ „ნაცმოძრაობის“ უაზრო ლაქლაქს, ამაზრზენ ჭკუის დარიგებას, მუქარას.

ჰოდა, რომ მოხვედით, ბატონო ბიძინა და ხალხის დახმარებით გაიმარჯვეთ, სად წახვედით, კაცო, ჰა?!

### ვისაც სჯერა, გაგვატარებთ!

**„უპასუხისმგებლო და მოძალადე მთავრობის ნაცვლად ჩამოვაყალიბეთ მოსახლეობის მიმართ ანგარიშვალდებული მთავრობა, რომლის საქმიანობაც მაქსიმალურად გამჭვირვალეა. სრულად აღმოვფხვერით ელიტური კორუფცია. დღეს ყველაზე რადიკალური ოპონენტებიც კი ვერ უარყოფენ ამ ფაქტს და ვერ გვაბრალებენ კორუფციის მფარველობას.**

**ამ ოთხ წელიწადში ჩავატარეთ სამაგალითო – 2013 წლის საპრეზიდენტო და 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნები და ბოლო მოვუღეთ მოქალაქეებისთვის ხმების მოპარვის დანაშაულებრივ პრაქტიკას. დარწმუნებული ვარ, მომავალი საპარლამენტო არჩევნებიც ასევე ყველაზე მაღალი სტანდარტებით ჩატარდება.**

**მიუხედავად კრიტიკული განწყობებისა, ხელისუფლებამ მიიღო ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება და სასამართლო სახელისუფლო წნეხისგან გაათავისუფლა. შეიძლება, არ მოგვწონდეს ზოგიერთი გადაწყვეტილება, ან ესა თუ ის მოსამართლე, მაგრამ, მთავარია, რომ დღეს სასამართლო დამოუკიდებელია. მოქალაქეებს საკუთარი სიმართლის დამტკიცებისთვის კანონიერი გზა და შესაძლებლობა გაუჩნდათ. აზრი მიეცა ადვოკატის საქმიანობას.**



„თუ ჯორჯ ვაშინგტონსა და კონრად ადენაუერს ავიღებთ ნიშნულად, რა თქმა უნდა, ეს ძალიან საწყალი წერილია და უბადრუკი. თუ მიხეილ სააკაშვილს ავიღებთ, ძალიან კარგი წერილია — ოპონენტების ლანძღვა-გინება მაინც არ არის დედაზე. ერთი ერთში რასაც ემთხვევა ეს წერილი, ეს არის შევარდნაძის რიტორიკა, შევარდნაძის ფილოსოფია, როდესაც არ ვსაუბრობთ პრობლემებზე და ამაზე თვალს ვხუჭავთ და ვსაუბრობთ რაღაც ციფრებზე, რომელიც აბსოლუტურად არააქტუალურია ფართო საზოგადოებისთვის“.

**მოვახდინეთ პოლიციის დეპოლიტიზაცია და მას ველარავინ გამოიყენებს პოლიტიკურ ოპონენტებთან ანგარიშსწორებისთვის; გავაუქმეთ სოდ-ი და კუდ-ი, რომლებიც მოქალაქეების დაშანტაჟებითა და ბიზნესების წართმევით იყვნენ დაკავებულები. სახელმწიფო უშიშროების სამსახური ჩამოვაშორეთ შსს-ს.**

**მედია სრულად გათავისუფლდა ხელისუფლების კონტროლისგან. თვალსაჩინო ფაქტია, რომ საქართველოში არასდროს ყოფილა ამდენი ტელევიზია, რამდენიც დღეს არის და სხვათა შორის, ვერც იმას გაიხსენებს ვინმე, რომ მთავრობის მისამართით ასეთი დაუნდობელი კრიტიკა და ლანძღვა მოესმინოს; თანაც, პირველად დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, მთავრობას საკუთარი ტელევიზია არ გააჩნია.**

**ბიზნესმა მოიშორა სახელისუფლო წნეხი. ყველაზე კრიტიკული მედიაც კი ვერ საუბრობს ბიზნესის შევიწროებაზე.**

**ახალი მთავრობის პრიორიტეტი გახდა ისეთი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა, რომლის შედეგიც ხელმისაწვდომი იქნება მოსახლეობის ყველა ფენისთვის.**

**ფაქტობრივად, ყველას, ვისაც ამის სურვილი და საფერმერო მეურნეობის ჩამოყალიბების რეალური პროექტი აქვს, სახელმწიფო უზრუნველყოფს გრძელვადიანი უპროცენტო სესხებით. ამავე დროს, ეხმარება პირუტყვის შერჩევასა და შეძენაში, უფასო თესლის, ნერგის, საწვავისა და სასუქის მომარაგებაში. აღნიშნული პროგრამების ფარგლებში 26 ათასზე მეტმა ბიზნესპროექტმა ისარგებლა დაფინანსებით. ქვეყნის მელიორაციაში სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული ინვესტიციების შედეგად 133%-ით გაიზარდა ირიგაციით უზრუნველყოფილი მიწების ფართობი. სოფლის მეურნეობის სფეროში საერთო ინვესტიციების მოცულობამ 1 მილიარდ ლარს გადააჭარბა.**

**წინა ხელისუფლების დროს სამედიცინო მომსახურება ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ შეძლებული პაციენტებისთვის, ჩვენი მოქალაქეები ახლობლების გადასარჩენად იძულებულნი იყვნენ, სახლ-კარი გაეყიდათ და სესხები აეღოთ, ამის ნაცვლად ჩვენ შემოვიღეთ საყოველთაო დაზღვევა და ყველასთვის ხელმისაწვდომი ჯანდაცვის სისტემა. დღეს უფულობის გამო ადამიანი ბედის ანაბარად აღარაა მიტოვებული, აუცილებელი ოპერაციისა და მკურნალობის გარეშე არავინ რჩება. ხორციელდება მსოფლიოში უნიკალური პროგრამა და ცე ჰეპატიტისგან უფასოდ განიკურნება ათასობით ჩვენი თანამოქალაქე. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ჯანდაცვის სფეროში ჩვენი ძალისხმევის შედეგად უამრავი ადამიანი გადარჩა. ეს პროექტი არა მარტო სოციალური თვალსაზრისითაა მნიშვნელოვანი, არამედ სწორედ ეკონომიკის მდგრადი განვითარებისთვის. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში მხარდაჭერა მიიღო 1 მილიონ 600 ათასმა ადამიანმა“.**



„ქართული პოლიტიკური ველი მან დაყო ორ პოლუსად — კვლავ „ნაციონალური მოძრაობის“ წინააღმდეგ „ქართული ოცნება“.

მთავრობის გამჭვირვალობასთან დაკავშირებით კითხვა მაინც არსებობს, ბატონო ბიძინა! ჰო, ხარჯების შესახებ დეტალებს კი ამხელენ ხოლმე, მაგრამ ეს ამართლებს ბიუჯეტის ფლანგვას? არაფერიც! ნუ, პრემია-დანამატების თემა კი გეცოდინებათ, მაგრამ მთავარი კითხვა მაინც ასეთია: როცა მოწმენდილ ცაზე ირაკლი ღარიბაშვილმა პრემიერობაზე უარი თქვა და გაოცებული დატოვა მთელი ქვეყანა, ეს არის გამჭვირვალობა? არაფერიც!

ისე, არ იფიქროთ, ბატონო ბიძინა, რომ მარტო კრიტიკა შეგვიძლია – ჯანდაცვის ამბავში კი, გადასარევი შედეგებია და როცა შექებას იმსახურებს ვინმე, „ალია“ თვალს არასოდეს ხუჭავს. ცე ჰეპატიტის მკურნალობა საერთოდ ძალიან მაგარი რამეა. თუმცა რაშია საქმე, იცით? ეს პროგრამები და პროექტები ხომ ბიუჯეტის ფულით ფინანსდება, ბიუჯეტს კი ვინ ავსებს? დიახ, ჩვენ, რიგითი მოქალაქეები!

საერთოდაც, ჟურნალისტის საქმე კრიტიკაა, პრობლემების ძიებაზე მუშაობა და არა ვინმეს ქება-დიდება. მლიქვნელი ჟურნალისტი ვის რაში სჭირდება და რატომ გიკვირთ და გაბრაზებთ მედიის პოზიცია? „რუსთავი 2“-ის მსგავს ტელევიზიასაც კი ნებისმიერი დემოკრატიული სახელმწიფო ინატრებდა, უბრალოდ, კატეგორიულად მიუღებელი ის არის, რომ „რ2“ ვიწრო პარტიულ ჩარჩოებშია მოქცეული.

არა, აქ ცოტათი მგონი რაღაცები ავურიე - მლიქვნელი ჟურ-

(გაგრძელება გვ.8)

*მეშვიდე გვერდიდან*

ნალისტები „კაკრაზ“ ნებისმიერ ხელისუფლებას სჭირდება, მაგრამ წამიერია ასეთი გზით მოპოვებული დადებითი ემოციები - რაც არ უნდა გაქონ და გადიდონ, ხალხმა თუ არ იგრძნო საკუთარ თავზე მთავრობის მუშაობის შედეგი, ყველაფერი აზრს კარგავს. მკითხველი ფულს იმის გამო არ იხდის გაზეთში, რომ დითირამბები წაიკითხოს, ელემენტარულია!

თუმცა ერთ მეგობრულ რჩევას მაინც მოგცემთ - თუ ასე ძალიან უნდა მთავრობას, რომ მედიის საშუალებით მივიდეს ხალხთან ინფორმაცია მათი მუშაობის შესახებ, პრესსამსახურები რისთვის არის შექმნილი, სადაც ამდენი ადამიანი მუშაობს - დაგვირეკონ, კაცო, მოგვცენ რეკლამის შეკვეთა და ჰოპლა, ეგ ამბავია სულ!



**„მას აინტერესებს მხოლოდ ერთი რამე, ეს არის მისი ძალაუფლება და რა შეიძლება დაემუქროს მის ძალაუფლებას. რეალურად არც ერთი სიტყვა აქტუალურ პრობლემებზე საუბარი არ ყოფილა. ეს არის მძიმე ეკონომიკური კრიზისი, ეს არის უმუშევრობა, სიღატაკე, ინფლაცია, მაღალი ფასები, კორუფცია, გაუარესებული კრიმინალური ვითარება“.**

**„ჩვენი ხელისუფლების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიღწევას წარმოადგენს ქვეყნის გადაყვანა ვალების ეკონომიკიდან ინვესტიციების ეკონომიკაზე.**

**2013-2016 წლებში (2016 წლის პროგნოზის გათვალისწინებით), პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 62 პროცენტით მეტია, ვიდრე 2009-2012 წლებში.**

**საქართველოს მთლიანი ვალი ყველაზე ნაკლებად 2013-2015 წლებში გაიზარდა. 2007-2009 წლებში საქართველოს მთლიანი საგარეო ვალი 5 მილიარდ 34 მილიონი დოლარით გაიზარდა, 2010-2012-ში 4 მილიარდ 453 მილიონით, ხოლო 2013-2015 წლებში მხოლოდ 1 მილიარდ 686 მილიონი დოლარით, ანუ წინა სამ წელთან შედარებით 2,5-ჯერ ნაკლებით. 2013 წელს დასრულდა პრაქტიკა, როცა ქვეყანა სავალუტო დეფიციტს მასშტაბური ვალის აღებით აბალანსებდა და პირიქით, ვალის აქტიურად დაფარვა დაიწყო.**

**2013 წლიდან საგარეო ვალის ზრდით მიღებული ეკონომიკური ზრდის იმიტაციის ნაცვლად ჩამოყალიბდა ინვესტიციებზე დამოკიდებული კონკურენტუნარიანი გარემო, ამის დასტურია, რომ მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის კონკურენტუნარიანობის გლობალურ რეიტინგში 2006-2007 წლებში 87-ე ადგილზე ვიყავით, 2011-2012 წლებში 88-ე ადგილზე დავქვეითდით, ხოლო 2015-2016 წლებში 66-ე ადგილზე გადავინაცვლეთ და ევროკავშირის რამდენიმე ქვეყანას გადავუსწარით. ეს არის რეიტინგი, რომელიც ყველაზე კომპლექსურად ასახავს ქვეყნის ეკონომიკურ კონკურენტუნარიანობას.**

**სავალუტო ფონდის მიმდინარე წლის აპრილში გამოქვეყნებული კვლევის თანახმად, საქართველოში 2016 წელს ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტი პირველად გადააჭარბებს 10 000-ს საერთაშორისო დოლარს (მშპ მსყიდველუნარიანობის პარიტეტის მიხედვით), რაც 25 პროცენტით აღემატება 2012 წლის დონეს.**

**იმავე კვლევის მიხედვით 2017-2021 წლებში საქართველოს ეკონომიკა ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით 46,4 პროცენტით გაიზრდება და 2021 წელს 14 663 საერთაშორისო დოლარს მიაღწევს, ხოლო ზრდის ტემპი 11,9 პროცენტი გახდება. თუ ასეთი ზრდის ტემპს შევინარჩუნებთ, რაც სრულიად რეალურია, 2030 წლისთვის მშპ-ს მაჩვენებელი გაოთხმაგდება და 40 000 საერთაშორისო დოლარს გადააჭარბებს. ეს ციფრები ახლოს არის ევროპის წარმატებული ქვეყნების დღევანდელ მონაცემებთან და ჩვენი მოქალაქეებისთვის სტაბილური კეთილდღეობის გარანტიას წარმოადგენს.**

**მსოფლიო ბანკმა გასული წლის ოქტომბერში გამოაქვეყნა 17 ანალიტიკური ცენტრის შემაჯამებელი კვლევა, რომლის მიხედვითაც, ბოლო 18 წლის განმავლობაში საქართველოს ყველაზე მაღალი მაჩვენებლები 2014 წელს დაფიქსირდა. 200 ქვეყანას შორის, სადაც კვლევის მიხედვით მმართველობის 6 ჯამური ინდიკატორია მოცემული, საქართველოს პოზიციები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. ეს ინდიკატორებია: მთავრობის ეფექტიანობა, კანონის უზენაესობა და კორუფციის კონტროლი, გამოხატვის უფლება და ანგარიშვალდებულება, რეგულაციების ხარისხი, პოლიტიკური სტაბილურობა და ძალადობის/ტერორიზმის არარსებობა.**

**დღეს მთავრობის ეფექტიანობის რეიტინგით საქართველო რეგიონში ლიდერია და გარდა ამისა, მთელი რიგი მაჩვენებლებით უსწრებს ევროკავშირის წევრ ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა ესპანეთი, პოლონეთი, იტალია, საბერძნეთი, ლატვია, ლიტვა და სხვა“.**

ცოტა ზემოთ დავიწყე და აღარ დავამთავრე, ბატონო ბიძინა – ჟურნალისტმა მთავრობის შავ-ბნელი მხარეები უნდა გამოავლინოს, კრიტიკულად უნდა შეხედოს საკითხებს, ხოლო დადებითი რაც იქნება, ეს ხალხმა სხვისი დახმარების გარეშე უნდა იგრძნოს. იმას ვგულისხმობ, რომ ამ ციფრების ბრახაბრუხს ძალიან ცოტა თუ გაიგებს და მით უფრო ვერავინ დაიჯერებს იმას, რომ თურმე ევროკავშირის ქვეყნებს ვუსწრებთ „მთელი რიგი მაჩვენებლებით“.

არა, ვისაც სჯერა, გავატარებთ, კაცო, მისი ნებაა, მაგრამ, თუ რამე სიკეთეა მთავრობისგან, ვიმეორებ, ხალხმა სხვისი მითითების გარეშე უნდა იგრძნოს.

უხ, ნამეტანი ბევრს კი გელაპარაკებით, ბატონო ბიძინა და იმედი მაქვს, წაიკითხავთ ამ ყველაფერს. ჰო, საღერღელეც თავად აგვიშალეთ და ესეც რომ არ იყოს, ამ თქვენს უზარმაზარ წერილს ისე გადავაკვდი, ახლა თქვენი ჯერია, კითხვით ცოტა მოითენთოთ.

## „გაძლევ, რათა მომცე!“

**„2013-2015 წლებში დასაქმებულთა საერთო რაოდენობა კერძო სექტორში 55 000 ადამიანით გაიზარდა მაშინ, როდესაც 2006-2012 წლებში 23000-ით შემცირდა.**

**2013-2015 წლებში რეალური ხელფასი გაიზარდა 175 ლარით, 2010-2012 წლებში კი – მხოლოდ 78 ლარით; პენსიების რეალურმა ზრდამ (მსყიდველუნარიანობის გათვალისწინებით) შეადგინა 24,1 პროცენტი;**

**2013-2015 წლებში საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებულმა წმინდა შემოსავალმა 4 მილიარდ 520 მილიონ დოლარს მიაღწია, რაც ორჯერ აღემატება 2010-2012 წლების ანალოგიურ მაჩვენებელს. ზრდა შთამბეჭდავია მიმდინარე წელსაც. იანვარ-აპრილში ჩვენი შეფასებით ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი, დაახლოებით, 17 პროცენტით გაიზარდა და შეადგინა 505 მლნ აშშ დოლარი.**



**2013-2015 წლებში 2010-2012 წლებთან შედარებით მშენებლობის მოცულობა მთელი საქართველოს მასშტაბით გაიზარდა 56 პროცენტით, მათ შორის, თბილისში 63 პროცენტით, ხოლო აჭარაში – 76 პროცენტით (გაცემული ნებართვების მიხედვით).**

**მნიშვნელოვნად გაიზარდა ენერგეტიკული პროექტების მოცულობა:**

- **2013-2015 წლებში ენერგეტიკაში 2 მილიარდ 506 მილიონი დოლარის ინვესტიცია განხორციელდა. უკვე შევიდა ექსპლუატაციაში 523 მილიონი დოლარის ღირებულების 14 ჰიდრო და 1 თბოელექტროსადგური.**
- **უახლეს მომავალში ექსპლუატაციაში შევა კიდევ ექვსი ჰიდროელექტროსადგური, მათ შორის – 416 მილიონი დოლარის ღირებულების „შუახევჰესი“. დაიწყო „ნენსკრაჰესის“ მშენებლობა, რომლის საინვესტიციო ღირებულებაც 1 მილიარდი დოლარია.**
- **გაფორმდა მემორანდუმები 104 განახლებადი ენერგიის პროექტის განხორციელების შესახებ, რომელთა საერთო ჯამური დადგმული სიმძლავრე 2800 მეგავატს აღემატება, ხოლო საინვესტიციო ღირებულება 6 მილიარდი დოლარია.**

**საგრძნობლად იმატა ინფრასტრუქტურული მშენებლობის ტემპმა. მაგალითად, წელიწადში, საშუალოდ, 2,5-ჯერ მეტი ავტობანი შენდება, ვიდრე წინა ხელისუფლების დროს...**

**ყველა რეიტინგით და მაჩვენებლით მნიშვნელოვან პროგრესს მივაღწიეთ და არ არსებობს სფერო, რომელშიც ბევრად უკეთესი მდგომარეობა არ გვქონდეს, ვიდრე „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობისას იყო“.**




**„პოლიტიკური პიარის, პოლიტიკური პროპაგანდის მიზნით ორივე მხარეს აწყობს, ვთქვათ, „ოცნებას“ აწყობს მოწინააღმდეგედ დახატოს მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობა“ და „ნაციონალურ მოძრაობასაც“ აწყობს, წარმოაჩინოს, რომ მისი და „ქართული ოცნების“ ბრძოლის ველია მთელი ქვეყანა“.**

რომაული სამართლის ფორმულაა, ბატონო ბიძინა – „გაძლევ, რათა მომცე“ და თუ ქართულ რეალობაში „გადმოვაფორმულებთ“, ასეთ შედეგს მივიღებთ: ხმა იმის გამო მოგცათ ამომრჩევლების უდიდესმა ნაწილმა, რომ მერე უკან დაგვებრუნებინათ, ოღონდ თქვენი ხმები კი არა და მით უმეტეს, თქვენი საკუთარი ფული კი არა(!), ყველა ის სიკეთე, რასაც გვპირდებოდით.

წელანაც ხომ ვთქვი, რომ მხოლოდ ციფრების რახარუხი ვერ დააკმაყოფილებს პირადად თუნდაც ჩემს ორ შვილს.

აბა, წარმოიდგინეთ, მივედი სახლში ჯიბეგამოფხეკილი და 4 წლის სანდროსა და 1 წლის გიოს ვეუბნები – „მამი, 2013-2015 წლებში საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებულმა წმინდა შემოსავალმა 4 მილიარდ 520 მილიონი „აშუშუ“ დოლარი შეადგინა“, გაიგებენ რამეს? ვერა! იგრძნობენ რამეს? ვერა!

ჰო, მესმის, რომ ეს ამბავი და ეს ციფრები ქვეყნის ეკონომიკისთვის ძალიან მაგარია, მაგრამ გაჭირვებულ, გაღატაკებულ და მშიერ ხალხს ეს მონაცემები შიმშილს, სამწუხაროდ, ვერ მოუკლავს.

კარგით, ესეც ვთქვათ – 2013-2015 წლებში ხელფასი 175 ლარით გაიზარდაო, რომ ამბობთ, ის დაგავიწყდათ, მერე რო ლარს დედა ეტირა? ან 220-ლარიანი პენსია სად არის?! კი, ახლა ლარი გემრიელად გამყარდა, მაგრამ პროდუქტები რომ არ გაიაფდა? თქვენ კიდევ საერთაშორისო ტურიზმის მეგაშემოსავლებზე ესაუბრებით ვის, ბატონო ბიძინა – პენსიონრებს? დავუშვათ, მე და ჩემნაირები, ახალგაზრდები, ვისაც ჯანი და ღონე გვაქვს, შვილებს არაფერს გავუჭირვებთ, მაგრამ დაახლოებით 600 ათას პენსიონერს, მარტოხელა მოხუცებს საერთაშორისო ტურიზმიააყვავებს და დააპურებს? წნუ!

ჰოდა, სწორედ ამისთვის შეგახსენეთ რომაული სამართლის ფორმულა – „გაძლევ, რათა მომცე“...

და საერთოდაც, ძალიან უსიამოვნო და ამაზრზენია, როცა გაუთავებლად „ნაცმოძრაობის“ დროინდელ მონაცემებს იშველიებენ ხოლმე და გვაყვედრიან – აი, მაშინ რა ცუდი ამბები ტრიალებდა, ახლა კი ავშენდით ბიძიაბაბუაო. ისინი რა მამაძაღლებიც იყვნენ, ზეპირად ვიცით ეგ ყველაფერი, ზეპირად და იმიტომაც გავყარეთ და ნუ გვაყვედრით, ღმერთი გიშველით, რა.

სხვათა შორის, მიშა რომ მოვიდა, რაღაც მაინც გააკეთა ისეთი, ხალხმა რეალურად რომ იგრძნო შვება – საგადასახადო წნეხი შეამცირა, თქვა, რომ „ტეხასმოტრს“ ვაუქმებო და გააუქმა. არა, მერე კი ამოიღო ყველაფერი ხუთმაგად, ჩემო ბატონო საპროცესო გარიგებების წყალობით, ჯარიმების ხუთმაგად გაზრდის დახმარებით (უყვარდა ეს ხუთიანი და რა ექნა?!), მაგრამ კიდევ ვიმეორებ - თავიდან ხალხმა რეალური საქმე იგრძნო, მერე კი როგორც აურია უკრაინაში გავარდნილმა, კი იცით ყველაფერი.

კიდევ ერთი და ძალიან მნიშვნელოვანი მომენტი – ჩვენ, რიგითი მოქალაქეები, გაძლევთ ფულს ბიუჯეტის შევსებისთვის, რომელიც მხოლოდ ჩინოვნიკების ხელფასებისთვის, ფუფუნებისთვისა და პრემია-დანამატებისთვის კი არ უნდა იხარჯებოდეს, ისევ უნდა გვიბრუნებდეთ. დიახ, იმისთვის გაძლევთ, რომ დაგვიბრუნოთ, აბა, მართლა მარტო სიმღერით კი არ შენდება სოფელი?!

## ვახ, გვაშინებთ, ბატონო ბიძინა?

**„უნდა მოვუხმოთ გონიერებას და კარგად გავიაზროთ, რომ არავითარ შემთხვევაში არ გვაქვს უკან, ტირანიისკენ მიბრუნების უფლება. უნდა შევინარჩუნოთ დემოკრატიის მაღალი ხარისხი და მას დავაწიოთ ეკონომიკა. მხოლოდ ეს მოგვიტანს მშვიდობასა და კეთილდღეობას!**

**დღეს ნამდვილად გვაქვს თავისუფალი არჩევანის საშუალება, ვერც დაგვაშინებს ვინმე და ვერც ხმებს მოგვპარავენ, თუმცა, ეს საკმარისი არ არის, რადგან სწორი არჩევანი მხოლოდ ინფორმირებულ ამომრჩეველს შეუძლია, ამ მიმართულებით კი სერიოზული პრობლემებია.**

**ქვეყანაში ფიზიკური ძალადობა დასრულდა, მაგრამ გრძელდება პროპაგანდითა და სიცრუით ძალადობა, რაც, შეიძლება, გაცილებით მეტადაც კი აზიანებდეს საზოგადოებას“.**

როგორი შთაბეჭდილება დამრჩა ამ სიტყვების წაკითხვის მერე იცით? თითქოს გვაშინებს ბიძინა ივანიშვილი, რომ, თუ „ქართულ ოცნებას“ არ მიეცით ხმა, უკან, ტირანიაში დავბრუნდებითო.



**„თუ ამდენ რამეს მივაღწიეთ, 77 ათასი ბავშვი როგორ გყავს ქვეყანაში, რომელიც შიმშილობს?! „ქართულმა ოცნებამ“ რომ გააცოცხლა „ნაციონალური მოძრაობა“, ამაზე ვინ კამათობს?“**

ეეჰ, თავის დროზე რომ მოგეცით ხმა, ვიხეირეთ რამე? არც არაფერი! რომ შეგესრულებინათ დაპირებები, ახლა ასე რთულად არ გექნებოდათ საქმე, ჩემო ბატონო, და ლიწინ-ლიწინით გაიმარჯვებდით არჩევნებზე, მაგრამ რაც დათესეთ, იმას იმკით, ასეა ეს!

თან თავადაც რამდენჯერ შეცდით - გიორგი მარგველაშვილი მოგვიყვანეთ და დაგვისვით, დავით ნარმანია მოგვიყვანეთ და აირჩიეთ, პატენი, კარგი ბიჭიაო. გაამართლა რომელიმემ? წნუ!

**„სწორი არჩევანის შედეგად 2012 წელს ჩვენ მოვიპოვეთ თავისუფლება! სწორ არჩევანს დღესაც სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის! დღესაც ჩვენი ისტორიული გამოცდილებისა და ალღოს იმედი მაქვს! ამიტომ დავწერე ეს წერილი. ამიტომაც ვგეგმავ წინასაარჩევნო პერიოდში ყველა რეგიონში ჩასვლას და ტელევიზიით გამოსვლებს. შევხვდები საზოგადოებას, ვისაუბრებ ქვეყნის წინაშე არსებულ კონკრეტულ ამოცანებზე, ვუპასუხებ ჟურნალისტებისა და „ფეისბუკ“ მომხმარებელთა კითხვებს მთავრობის საქმიანობის, ეკონომიკის მდგომარეობის, პოლიტიკურ პარტიების, მედიისა და ყველა იმ მთავარი საკითხის შესახებ, რისი გათვალისწინებითაც უნდა გავაკეთოთ პოლიტიკური არჩევანი. დარწმუნებული ვარ, ამჯერადაც გავიმარჯვებთ!“**

თქვენ კი ხართ გამარჯვებული, ბატონო ბიძინა, მაგრამ ხალხია მოტყუებული და დამარცხებული... ჰო, თუ ასე არაა და ხალხი მოტყუებული კი არა, დაუნახავია, უმადურია, რაღას იკლავთ მათთვის თავს, ან ეს გამარჯვება რა თავში სახლელად გინდათ, ჰა?!

დაუნახავებსა და უმადურებს ერთი შეუკურთხეთ და... წადით!!!

ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37

პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ კანონს ვეტო დაადო, რომელიც პარლამენტმა, დაჩქარებული წესით, 14 მაისს მიიღო. „ქართულ ოცნებას“ იმის პრობლემა არ აქვს, რომ პრეზიდენტის ვეტო დაძლიოს 85 წევრი ჰყავს, ვეტოს დაძლევას კი 76 ხმა სჭირდება. ოპოზიცია და ექსპერტთა დიდი ნაწილი აცხადებს, რომ ბიძინა ივანიშვილი სრულად აკონტროლებს საქალაქო, სააპელაციო და უზენაეს სასამართლოს და ერთადერთი შტო, რომელიც მას არ ექვემდებარება, საკონსტიტუციო სასამართლოა. შეგახსენებთ, რომ ეროვნული ბანკისა და „რუსთავი 2“-ის შემთხვევებში, სასამართლომ დააკმაყოფილა მათი სარჩელები. პირველ შემთხვევაში ეროვნულ ბანკს ზედამხედველობის სამსახური არ ჩამოაცილა, „რუსთავი 2“-თან დაკავშირებით კი დაუყოვნებლივი აღსრულების წესი შეაჩერა იმ დროს, როცა საქალაქო სასამართლომ ტელეკომპანიის 100%-იანი წილი ძველ მეპატრონეს, ქიბარ ხალვაშს დაუბრუნა და დაუყოვნებლივი აღსრულებაც მოითხოვა. საკონსტიტუციო სასამართლოს ამ გადაწყვეტილებებით „ქართული ოცნების“ ლიდერები უკმაყოფილონი დარჩნენ და ეს არც დაუმალავთ.

ბევრი საფუძვლიანად ფიქრობს, რომ საპარლამენტო უმრავლესობა პრეზიდენტის ამ ვეტოსაც დაძლევს და საკონსტიტუციო სასამართლოც ხელისუფლებას დაექვემდებარება. ამის შემდეგ, „ქართული ოცნება“ სრულად გააკონტროლებს ხელისუფლების ყველა შტოს – საპარლამენტო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას. ამ პირობებში კი ირონიის მომგვრელია ბიძინა ივანიშვილის განცხადება, რომ საქართველოში დემოკრატია ვითარდება. მიხეილ სააკაშვილმაც ასე დაიწყო, ჯერ ხელისუფლების ყველა შტო დაიმორჩილა და მერე, მისი გამკონტროლებელი აღარავინ იყო, ის ჰიპერაქტიური დამთხვეული იყო და 2 წელიწადში ჩაიდო ჯიბეში მთელი ხელისუფლება. ბიძინა ივანიშვილი კი აუჩქარებელი, მიზნისკენ მეთოდურად მიმავალი ადამიანია და ჯერჯერობით, როგორც ჩანს, მას 4 წელი დასჭირდება იგივეს გასაკეთებლად, თუმცა, ფაქტია, ასეთი ქმედებებით ის მიხეილ სააკაშვილს ემსგავსება.

მაშინაც და დღესაც, ჩანს, რომ ხელისუფლება ერთი კაცის ნებაზეა დამოკიდებული. ამისთვის ივანიშვილს პრეზიდენტის ერთი ვეტოს დაძლევაღა სჭირდება და მერე, უკვე შეუძლია, როგორც ქვეყნის ერთპიროვნულ მმართველს, მორჭმით დაჯდეს „შუშის სასახლეში“ და თქვას, რომ ეს ქვეყანა მისია. ქვეყანაში აღარ იქნება მისი და მისი გუნდის ნებასურვილის შემაჩერებელი კანონიერი ინსტრუმენტი.

# მაშინაც და დღესაც, ჩანს, რომ ხელისუფლება ერთი კაცის ნებაზეა დამოკიდებული

**„როგორც მე ვერ წარმომიდგენია, რომ კაცი შეიძლება გათხოვდეს და იყოს პატარძალი და ცოლი, ასევე, „ქართული ოცნების“ ლიდერებსა და ბიძინა ივანიშვილს ვერ წარმოუდგენიათ, რომ ამ ქვეყანაში შესაძლოა, არსებობდეს თუნდაც ნებისმიერი სახის სახელმწიფო ორგანო, რომელიც მათ არ დაემორჩილება“**



**„ქართული ოცნების“ მიერ პრეზიდენტის ვეტოს დაძლევასა და აქედან გამომდინარე შესაძლო საფრთხეებზე, „ალიას“ „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი, კახა კუკავა ესაუბრა:**

**— კახა, რას იტყვით, პრეზიდენტის მიერ „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ კანონზე ვეტოს დადებაზე?**

– პრეზიდენტმა მიიღო აბსოლუტურად სწორი გადაწყვეტილება, რადგან ის ცვლილებები, რომელიც უმრავლესობამ შეიტანა ამ კანონში, ფაქტობრივად, უფუნქციოდ ტოვებდა საკონსტიტუციო სასამართლოს, ეს იყო ტოტალიტარული სახელმწიფოს შესაფერისი გადაწყვეტილება. „ქართულმა ოცნებამ“ გადაწყვიტა, სრულად დაიმორჩილოს სასამართლო ხელისუფლება და წარმატებითაც ახერხებს ამას, ყველა სასამართლო ინსტანცია დაიქვემდებარა, საკონსტიტუციოლა იყო მის კონტროლს მიღმა და ახლა მასზე განახორციელა საკანონმდებლო შეტევა.

**— მოდით, ისიც ვთქვათ, პარლამენტის მიერ მიღებული ცვლილებებიდან რა არის მიუღებელი და რატომ რჩება საკონსტიტუციო სასამართლო უფუნქციოდ ამ ცვლილებებით?**

– არაიურისტებისთვის ვიტყვი, რომ, რასაც გეგმავდნენ, ეს იყო, საკონსტიტუციო სასამართლოს გაუქმება. იურისტებისთვის კი ვიტყვი, რომ ახალი კანონით უნდათ შემოიღონ ისეთი მაღალი კვორუმი და ისეთი პროცედურები, რომ საკონსტიტუციო სასამართლო ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას ვერც ერთ საკითხზე. უკიდურეს შემთხვევაში, რამდენიმე წელიწადში თუ შეძლებს ერთი ან ორი გადაწყვეტილების მიღებას. ამ კანონში წერია, რომ საკონსტიტუციოს მოსამართლეთა 9-კაციანმა პლენუმმა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს 7 ხმით. ამხელა კვორუმი არც ერთ დემოკრატიულ ქვეყანაში არ არის. ეს არის სიგიჟე, სხვა არაფერი. გარდა ამისა, იმ საქმეებს, რომელთაც საკონსტიტუციოს ორი კოლეგია იხილავდა, ახლანდელი კანონით, პლენუმმა უნდა განიხილოს. ეს თავისთავად ნიშნავს, რომ კიდევ უფრო გაჯანჯლდება საკონსტიტუციოში საქმეების განხილვა, რადგან, ყველაზე მეტი, ერთ-ერთ კოლეგიაში 4 მოსამართლე იყო და მათი შეკრება ხდებოდა ზოგჯერ პრობლემა და ახლა 9 მოსამართლის შეკრება უფრო პრობლემური არ იქნება?

**— გასაგებია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს ხელში ჩაგდება უნდა ხელისუფლებას, მაგრამ უფრო კონკრეტულად ამ ეტაპზე რისთვის სჭირდება? ხელისუფლებისგან უნდა ველოდოთ ანტიკონსტიტუციური კანონების მიღებას და ამის გამო ჩქარობენ? თუ ასეა, რა სახის კანონები შეიძლება მიიღონ?**

– კი, სამწუხაროდ ხელისუფლებაში არიან ადამიანები, რომელთაც არ ესმით, რატომ უნდა იყოს სასამართლო დამოუკიდებელი. როგორც მე ვერ წარმომიდგენია, რომ კაცი შეიძლება გათხოვდეს და იყოს პატარძალი და ცოლი, ასევე, „ქართული ოცნების“ ლიდერებსა და ბიძინა ივანიშვილს ვერ წარმოუდგენიათ, რომ ამ ქვეყანაში შესაძლოა, არსებობდეს თუნდაც ნებისმიერი სახის სახელმწიფო ორგანო, რომელიც მათ არ დაემორჩილება. რასაც „ქართული ოცნების“ ფრაქცია გადაწყვეტს, მორჩა, ის უნდა იყოს კანონი და სამართალი. ასე ესმის, საუბედუროდ, ამ ხალხს. შესაბამისად, ყველაფერს აკეთებენ, სრულად დაიქვემდებარონ სასამართლო სისტემა და საკონსტიტუციო დარჩათ. ამათი განწობა როგორია, იცით? რაკი ხელისუფლებაში ვარ, ყველაფერს მე უნდა ვაკონტროლებდე! აი, საბჭოთა კავშირის დროს კომპარტია რომ აკონტროლებდა ყველაფერს, ასე სურს ახლა „ქართულ ოცნებას“. ასეთი ამბები ჩრდილოეთ კორეაშიღა ხდება სხვაგან აღარსად.

რაც შეეხება, ასე ვთქვათ, დაჩქარებული წესით საკონსტიტუციო სასამართლოს ხელში ჩაგდების მცდელობას, ხელისუფლებას ეშინია, არსებული საარჩევნო კოდექსის კონკრეტული მუხლები ვინმემ არ გაასაჩივროს საკონსტიტუციოში, ამ კოდექსით აპირებენ არჩევნების მოგებას. ამიტომაც ჩქარობენ, მიიღონ ეს კანონი, საკონსტიტუციო გააკონტროლონ ამით, რომ, თუ საარჩევნო კოდექსს გაუსაჩივრებენ, მინიმუმ, პროცედურულად ვერ მოესწრება მისი განხილვა – ან პლენუმის 9 წევრი ვერ შეიკრიბება და საერთოდ ვერ განიხილავენ სარჩელს, ან სარჩელის მომხრე 7 მოსამართლე ვერ მოგროვდება. გარდა ამისა, არ გამოვრიცხავ წინასაარჩევნოდ კიდევ სხვა სიურპრიზები შემოგვთავაზოს ხელისუფლებამ, ისედაც დამახინჯებულ, ანტიდემოკრატიულ, ანტიკონსტიტუციურ საარჩევნო კოდექსში შეიტანოს ახალი, სათავისოდ სასარგებლო ცვლილებები, ან ასეთი ცვლილებები საარჩევნო პროცესთან დაკავშირებულ სხვა კანონებში შეიტანოს. კონკრეტულად ძნელია თქმა, რას და როდის გააკეთებენ, მაგრამ იმ ხალხისგან, რომელიც ხელისუფლებასაა ჩაბღაუჭებული და „ზონდერების“ გამოყენებასა და ოპონენტების ცემა-ტყეპას არ ერიდება საარჩევნო უბნებთან, ყველაფერია მოსალოდნელი.

**— პრემიერმა კვირიკაშვილმა განაცხადა: პრეზიდენტ მარგველაშვილთან ერთად ისეთი მოდელი შევიმუშავეთ „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ კანონისა, რომ ყველა მხარისთვის მისაღები იქნებაო. იქვა დასძინა, შევეცდები, საპარლამენტო უმრავლესობა დავარწმუნო, რომ პრეზიდენტის ვეტო არ დაძლიონო. მისი წინამორბედი ღარიბაშვილი უმრავლესობას მუდამ პრეზიდენტის ვეტოს დაძლევისკენ აქეზებდა...**

– ეს უკვე ნიშნავს, რომ ხელისუფლებამ უკან დაიხია იმ საერთაშორისო ხმაურისა და ზეწოლის შემდეგ, რაც ამ ანტიკონსტიტუციურ კანონს მოჰყვა... უმრავლესობა ვეტოს არ დაძლევს, ვეტო დარჩება და იმ შენიშვნებს, ან მათ მნიშვნელოვან ნაწილს გაიზიარებს უმრავლესობა, რა ცვლილებებიც პრეზიდენტმა შეიტანა კანონში და ამ სახით მიიღებენ. ეს ამ ხელისუფლების სტილია, როცა საქმე უკიდურესად იძაბება, უკან იხევს. „რუსთავი 2“-ის საქმეს შეგახსენებთ, როცა მოსამართლე თამაზ ურთმელიძემ თავისი გადაწყვეტილება უკან გაიწვია. ახლაც ასე მოიქცევიან, უკან დაიხევენ.

**— „რუსთავი 2“-ის თემა ხელახლა გააქტიურდა, სააპელაციო სასამართლოში ამ ტელეკომპანიის საქმის განხილვის განახლებასთან ერთად. რას იტყვით ამის შესახებ?**

– ეს ტელეკომპანია ეროსი კიწმარიშვილს წაართვეს და ქიბარ ხალვაშს მისცეს, მერე მას წაართვეს და ძმებ ლევან და გიორგი ყარამანიშვილებს გადასცეს. საბოლოო ჯამში, არც ქიბარ ხალვაშია მართალი და არც ყარამანიშვილები. მე არ მჯერა ხელისუფლებისა, რომელიც აცხადებს, ეს მხოლოდ ქონებრივი დავაა და სამართლიანობის აღდგენის პროცესიო. ჯერ ერთი, ამ საქმემ რა ხანია, პოლიტიკური ელფერი მიიღო, ხელისუფლებას რომ აწყობს „რუსთავი 2“-ის დადუმება თუ საკუთარ კონტროლქვეშ მოქცევა, ეს ყველამ ვიცით. მეორეც, ჩემთან იყო სიღნაღელი კაცი, რომელსაც „ნაციონალებმა“ წაართვეს სასტუმრო და ეს კაცი უკვე წლებია, ამაოდ ცდილობს მის დაბრუნებას. დაუბრუნონ ამ კაცს ის სასტუმრო, თუ სამართლიანობის აღდგენა სურთ და ასეთები ათასები არიან. რაღა მაინცდამაინც „რუსთავი 2“-ის ძველი მეპატრონისთვის დაბრუნებაა სამართლიანობის აღდგენა და თან მაშინ, როცა ხელისუფლებას მოეპრიანება?

## „რუსთავი 2“-ის გარეშე არჩევნების ჩატარება არჩევნების ლეგიტიმურობას კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს“



ტელეწამყვანი და ჟურნალისტი ინგა გრიგოლია მიმდინარე პროცესების შეფასებისას აცხადებს, რომ ხელისუფლება არჩევანებამდე ცდილობს, მედია მთლიანად მისი კონტროლის ქვეშ გადავიდეს.

როგორც ინგა გრიგოლიამ აცხადებს, ამ გადაწყვეტილებებს არა მთავრობა, არამედ ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობით ე.წ. ახალი მედიამაფიის წევრები იღებენ.

– ეს კარგად გაწერილი გეგმა იყო, რომლის განხორციელება დაიწყეს შემოდგომაზე. ტოქ-შოუები დაიხურა, რადგან უფრო დიდი გეგმა იყო, დიდი „რუსთავი 2“-ის წაღების გეგმა. ხელს ნუ ახლებენ არჩევნებამდე, რადგან არჩევნების ჩატარება „რუსთავი 2“-ის გარეშე ნიშნავს არჩევნების ლეგიტიმურობის დიდი კითხვის ქვეშ დაყენებას, - განაცხადა ინგა გრიგოლიამ. (პირველი რადიო)

**● შესაძლოა, მთლად ასე არ იყოს, მაგრამ რატომღაც ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ინგა გრიგოლია ნებით თუ უნებლიედ იმ ტელეკომპანიას აყენებს შეურაცხყოფას, რომელშიც თავადვე მუშაობს.**

## აბა, შეხედეთ, რა — „ოცნებას“ რომ ჰკითხო, სკოლებსა და ბაღებს არემონტებენ!..



ხაშურის მეოთხე საჯარო სკოლაში სამი მოსწავლე მსუბუქად დაშავდა. როგორც ირკვევა, სკოლის პირველ კორპუსში ზეიმის მიმდინარეობისას ჭერიდან ბათქაში ჩამოვარდა.

სამივე დაშავებული სახლში იმყოფება და მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

როგორც ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გიორგი გურასპაშვილმა განაცხადა, აღნიშნული სკოლა ავარიულია და შეკეთებას საჭიროებს.

– ვესაუბრე განათლებისა და მეცნიერების რესურსცენტრის წარმომადგენელს, შემთხვევა ნამდვილად მოხდა. ბავშვები თავს კარგად გრძნობენ. სკოლის გამაგრებითი სამუშაოები უახლოეს პერიოდში დაიწყება, - აღნიშნა გამგებელმა. (ნიუპოსტი)

**● ღვთის წყალობით, ბავშვები გადარჩნენ, მაგრამ სერიოზული დაზიანება რომ მიეღოთ, რამე გამოუსწორებელი რომ მომხდარიყო, ვინ იქნებოდა დამნაშავე, მშობლებს რასეუბნებოდით, თქვე უმაქნისებო?!**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ნიკა გვარამია: კვირიკაშვილის სიტყვას ტყემლის ჩირის ფასი აქვს



– კვირიკაშვილმა თავის გონორი გააკონტროლოს, არაფერს რომ არ წარმოადგენს ამ ქვეყანაში და მის სიტყვას ტყემლის ჩირის ფასი რომ აქვს, - ასე გამოეხმაურა „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია საქართველოს პრემიერ-მინისტრის განცხადებას, რომელიც ტელეკომპანია „რუსთავი2“-სა და ნიკა გვარამიას შეეხებოდა.

როგორც გვარამია აცხადებს, გიორგი კვირიკაშვილი პოლიტიკური თვალსაზრისით არარაობაა.

– გიორგი კვირიკაშვილმა თავის გონორს მიხედოს, ფულით ნაყიდი რომ იყო და „ახალი მემარჯვენეების“ ფრაქციაში იჯდა. მას საერთოდ არაფერი აქვს სალაპარაკო. სამარცხვინოა, როდესაც იუსტიციის მინისტრი ასეთ პროცესებს მართავს და პრემიერი მასაც კი ვერ უწევს კონტროლს. უკაცრავად და იუსტიციის მინისტრს ახატია, რას ფიქრობს მისი პრემიერი. არარაობაა კვირიკაშვილი პოლიტიკური თვალსაზრისით და ბიძინა ივანიშვილის ჩრდილიც კი არ არის. თუ გაინტერესებთ, წუღუკიანია დღეს პრემიერ-მინისტრი და არა კვირიკაშვილი, - განაცხადა ნიკა გვარამიამ.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა განაცხადა, რომ არ ისურვებდა ეხილა „რუსთავი 2" შეცვლილი და ამით ვინმესთვის სპეკულირების საშუალება მიეცა, მით უმეტეს, წინასაარჩევნო პერიოდში. მისი თქმით, საკუთრების საკითხს იხილავს სასამართლო, ეს არის სამოქალაქო პროცესი და მთავრობას მასში ჩარევის არანაირი უფლება არ აქვს.

პრემიერის თქმით, მისთვის კატეგორიულად მიუღებელია ის შეურაცხყოფა, რომელსაც ინსტიტუციებს „რუსთავი 2"-ის გენერალური დირექტორი აყენებს. (ინტერპრესნიუსი)

## აღარ არის პარტიაში და მიჭირხვნისაც აღარ ეშინია...

– მხოლოდ გამოუსწორებელ ოპტიმისტს შეიძლება სჯეროდეს, რომ საქართველო ნატოში გაწევრიანდება, - ასე აფასებს დეპუტატი თამაზ მეჭიაური ბიძინა ივანიშვილის წერილის იმ ნაწილს, სადაც ნატოში საქართველოს გაწევრიანებაზეა საუბარი. მეჭიაური მიიჩნევს, რომ ამ საკითხთან მიმართებაში ივანიშვილი ამერიკის გავლენის ქვეშ არის მოქცეული.



– მიმაჩნია, რომ ზედმეტად გავლენის ქვეშ არის მოქცეული დასავლეთის მხრიდან, კერძოდ, ამერიკისგან და ამ ილუზიებით აპირებს „ქართული ოცნება“ გაავრცელოს საქმიანობა. ეს ეხება ევროატლანტიკურ არჩევანს, რომლის იმედიც გვქონდა, თუმცა განვითარებულმა მოვლენებმა საპირისპირო დაგვიმტკიცა და მხოლოდ გამოუსწორებელ ოპტიმისტს შეიძლება ჯეროდეს, რომ საქართველო ნატოში გაწევრიანდება, - განაცხადა მეჭიაურმა.

მისივე თქმით, საქართველოს მიერ არჩეული კურსის სისწორეში ბიძინა ივანიშვილს არ ეთანხმება.

– მე კატეგორიულად ვერ ვეთანხმები იმ კურსის სისწორეში ბიძინა ივანიშვილს, რომელიც აირჩია „ქართულმა ოცნებამ“. მიუხედავად იმ წარუმატებული ნაბიჯებისა და არაადეკვატური გამოხმაურებებისა, მაინც ჯიუტად ვაგრძელებთ იმის მტკიცებას, რომ ჩვენ აუცილებლად გავხდებით ნატოს წევრი. ბიძინა ივანიშვილი თავისივე განცხადებაში ეწინააღმდეგება ამ რწმენას. ის ამბობს - უახლოეს ხანში ევროკავშირში ჩვენი გაწევრიანება არ იგეგმებაო. ჩვენ ვალდებულებები შევასრულეთ, თუმცა ხან კოსოვოს მიგვაბეს, ხან უკრაინას, ხან თურქეთს და ამ დრომდე არ მომხდარა ვიზალიბერალიზაცია. ბიძინა ივანიშვილს, ალბათ, უფრო მეტი ინფორმაცია აქვს, რომ მიუხედავად მიერ შესრულებული ვალდებულებებისა, ევროკავშირში ჩვენი მიღების საკითხი არც თუ ისე ახლო მომავალშია დაგეგმილი, - განაცხადა მეჭიაურმა. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## სიღნაღის თეატრის ექვსი თანამშრომელი გასტროლის დროს კანადაში დარჩა




სიღნაღის თეატრის გასტროლი და ლივერპულის საერთაშორისო ფესტივალზე მონაწილეობა 6 თანამშრომლის კანადაში დარჩენით დასრულდა. დასი ფესტივალზე მონაწილეობის მისაღებად ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით გაემგზავრა.

როგორც სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგებელმა დავით ჯანიკაშვილმა განაცხადა, სიღნაღის თეატრი, რომელსაც 16-23 მაისს ფესტივალში მონაწილეობის მიღება სურდა, ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა, საკონსულო მომსახურებასა და სამივლინებო ხარჯებისთვის 11 ათას ლარამდე გადაერიცხა.

სიღნაღის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი მურად ვაშაკიძე კი განმარტავს, რომ დასს ვიზები ნოემბრის ჩათვლით აქვს და ამიტომ, თეატრის თანამშრომლებს, რომლებიც კანადაში დარჩნენ, სავიზო რეჟიმი არ დაურღვევიათ.

– ძალიან ცუდი ფაქტი მოხდა და ამან ჩვენი დასის რეპუტაციაზე უარყოფითად იმოქმედა. სპექტაკლზე დასასწრებად კანადაში მცხოვრები ქართველები მოვიდნენ და დასის წევრები სავარაუდოდ, მათ გადაიბირეს. თუმცა, ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ვიზები ჩვენ 15 ნოემბრამდე გვაქვს და მათ აქვთ უფლება, ეს დრო, სადაც უნდათ, იქ გაატარონ, - აცხადებს მურად ვაშაკიძე. (2030.news)

## საქართველოში 20 900 ადამიანი მონობის პირობებში ცხოვრობს




საქართველოში 20 900 ადამიანი მონობის პირობებში ცხოვრობს, რაც ქვეყნის მოსახლეობის 0,467 პროცენტია. ასეთია მონობის თანამედროვე ფორმებთან ბრძოლის საერთაშორისო ფონდ Walk Free Foundation-ის ანგარიში სახელწოდებით - „გლობალური მონობის ინდექსი".

ორგანიზაციამ მონობის თანამედროვე ფორმები მსოფლიოს 167 ქვეყანაში გამოიკვლია.

როგორც კვლევაშია აღნიშნული, ევრაზიის რეგიონში მონობის თანამედროვე ფორმებზე ადეკვატური რეაგირება შეინიშნება მხოლოდ საქართველოსა და მოლდოვაში.

გარდა ამისა, საქართველო ერთადერთი ქვეყანაა რეგიონში, სადაც დაზარალებულთა დახმარების მექანიზმი რეალურად მოქმედებს. ასევე, საქართველო ერთადერთი ქვეყანაა ევრაზიის რეგიონში, სადაც ადამიანების ექსპლუატაციაში თანამდებობის პირები შემჩნეული არ არიან. (ინტერპრესნიუსი)

## ხაინდრავას ფილმის ჩვენება წინასაარჩევნო პერიოდთან ერთად დაიწყება - ფილმი +18 კატეგორიისაა



გოგა ხაინდრავას ფილმის „9+1"-ის ჩვენება სატელევიზიო ეთერში წინასაარჩევნო პერიოდთან ერთად დაიწყება. რეჟისორ გოგა ხაინდრავას განცხადებით, ფილმზე მუშაობა დასკვნით ეტაპზეა, გადაღებულია 14 სერია. ამ დროისთვის ფილმის გახმოვანება მიმდინარეობს და პარალელურად სხვა სერიების გადაღებაზეც მიდის მუშაობა. ხაინდრავას განცხადებით, სერიალის პირველი სეზონი ივნისის ბოლოსთვის დაიწყება.

ამასთანავე, როგორც გოგა ხაინდრავა აცხადებს, ფილმი +18 კატეგორიისაა და ის „ჯიდიესის“ ეთერში 11 საათის შემდეგ გავა.

– ჩვენ გვაქვს ძალიან ცნობილი და გახმაურებული საქმეები, იმ ადამიანებზე, რომელთა წინააღმდეგ სახელმწიფო დანაშაულს ჰქონდა ადგილი, - განაცხადა გოგა ხაინდრავამ. (ნიუპოსტი)

მაკა დეკანოსიძე
551 99-18-19

# ზურა ჯაფარიძე: „ერთმანეთს ადარებენ ვაშლებსა და საზამთროებს, გაუგონარ სისულელეებს ამბობენ"

## „ხადურისა და ქუმსიშვილის ეკონომიკა გადასარევ მდგომარეობაშია, რადგან არა მგონია ისინი თავად გრძნობდნენ გაჭირვებას"









დროა „ნაციონალურმა მოძრაობამ" და „ქართულმა ოცნებამ" მოსახლეობის მიმართ დამაშანტაჟებელი განცხადებების გაკეთება შეწყვიტონ, – აცხადებს ახალი პოლიტიკური ცენტრის „გირჩის" თავმჯდომარე ზურაბ ჯაფარიძე და დიმიტრი ქუმსიშვილს, ნოდარ ხადურსა და რომან გოცირიძეს, საჯარო დებატებში იწვევს. მიზეზად კი ამ ორი პოლიტიკური ძალის პროცესის ხელოვნურად პოლარიზებას ასახელებს.

„პირველი ამბობს, რომ, თუ მოქალაქეები „ნაციონალურ მოძრაობას" არ აირჩევენ, ხელისუფლებაში ისევ უუნარო მთავრობა დარჩება, ხოლო მეორე, მოქალაქეებს აშანტაჟებს იმით, რომ, თუ არ აირჩევენ „ოცნებას", ხელისუფლებაში დაბრუნდება „ნაციონალური მოძრაობა". ამ დისკურსის დადასტურებაა ბიძინა ივანიშვილის გუშინდელი წერილიც. მსგავსი განცხადებების ნაცვლად, დროა, გადავიდეთ რეალურ ქმედებებზე, რათა მოსახლეობას ჰქონდეს შესაძლებლობა, არჩევანი პოლიტიკური პარტიების ხედვებისა და მიზნების მიხედვით გააკეთოს; დროა, ვისაუბროთ ჩვენი ქვეყნის მთავარ პრობლემაზე, რასაც ეკონომიკა წარმოადგენს", – ამბობს ჯაფარიძე.

**რას ჰკითხავდა ამ სამეულს ჯაფარიძე, დებატებში?**

**„ალიას" ზურა ჯაფარიძე ესაუბრა:**

– მიმართვისა და გამოწვევის აზრი იყო ის, რომ მთავარი პრობლემა რაც დღეს ქვეყანაშია, არის გაჩერებული ეკონომიკა, აქედან გამომდინარე ეკონომიკური პრობლემები. ამაზე მეტყველებს ყველა კვლევა, რომელიც ამ ქვეყანაში ტარდება. მოსახლეობისთვის სამ ყველაზე პრიორიტეტულ პრობლემას შორის, როგორც წესი, სამივე არის ეკონომიკური ხასიათის. ესენია: სამუშაო ადგილების არარსებობა, დაბალი შემოსავლები, ფასების ზრდა, ლარის გაუფასურება იყო ასევე, მნიშვნელოვანი პრობლემა და ა.შ. ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანია, მოსახლეობა იყოს ინფორმირებული, გააკეთოს აქედან გამომდინარე არჩევანი. ეს არჩევანი დამოკიდებული უნდა იყოს იმაზე, რა ხედვებს სთავაზობს პოზიცია თუ ოპოზიცია და არა იმაზე, რომ ხალხი შეაშინონ ან უუნარობით, ან „ნაციონალების" დაბრუნებით.

ვიცნობთ „ნაციონალური მოძრაობის" ხედვებსაც, „ოცნების" ხედვებსაც, ორივეგან არის გარკვეული ნაწილი სწორი ხედვებისა, მაგრამ უმეტესი არასწორია. ამიტომ მნიშვნელოვანია, ამ საკითხებზე გაიმართოს დებატები, მაგრამ არა მხოლოდ ერთი, არჩევნებამდე უნდა იყოს დებატების ციკლი, რათა მოსახლეობას საშუალება ჰქონდეს, მოუსმინოს ყველას, ნახოს, ვინ რას აპირებს და რამდენად რეალისტურია თითოეული ხედვა. აუცილებლობაა, რომ ამაზე გამუდმებით იყოს საუბარი, ცნობილია უკვე „ნაციონალებისა" და „ქართული ოცნების" მხრიდანაც, ვინ არიან ამ პარტიაში ის ადამიანები, რომელიც დაკავებულები არიან ეკონომიკური საკითხებით და ისინი განსაზღვრავენ ძირითადად, ამ კუთხით, პარტიების ხედვებს. შესაბამისად, გოცირიძე „ნაციონალებიდან" და ხადური-ქუმსიშვილი „ოცნებიდან" მოვიდნენ და რეალურად ისაუბრონ ქვეყნის ეკონომიური განვითარების რეალურ გზებზე, სადაც გამოჩნდება ვისი ხედვებია სწორი. ეს საჭიროა, რადგან არ უნდა გააკეთოს მოსახლეობამ არჩევანი ისე, როგორც აქამდე ხდებოდა, ვილაცის შიშით ან შანტაჟით.

**— ქუმსიშვილი და ხადური აცხადებენ, რომ ეკონომიკა ძალიან კარგ მდგომარეობაშია და გადასარევად ვითარდება, ერთ-ერთ ეთერში ქუმსიშვილმა საკმაოდ თავდაჯერებულად, ციფრებით ისაუბრა, რის შემდეგაც „ოცნება" გამარჯვებულის პოზიციიდან გველაპარაკება... რას ჰკითხავდით მათ დებატების დროს?**

– ხადურისა და ქუმსიშვილის განცხადებას რაც შეეხება, მათთვის შეიძლება ეკონომიკა გადასარევ მდგომარეობაშია, რადგან არა მგონია ისინი თავად გრძნობდნენ გაჭირვებას, რომელიც ქვეყანაშია. რეალურად კი, ეკონომიკა, ფაქტობრივად, გაჩერებულია. მისი განვითარება არის ძალიან დაბალ ნიშნულზეა, 4 თვეში ზრდა გვაქვს, 3%-ზე ნაკლები, ეს კიდევ ერთი დასტურია, რომ ჩვენი ეკონომიკა ამ ტემპით განვითარებული ქვეყნების საშუალო დონეს, ალბათ, საუკუნის შემდეგ დაეწევა და მოსახლეობა მუდმივად გაჭირვებაში იქნება.

ქუმსიშვილის მხრიდან იმის მტკიცება, თითქოს ყველაფერი იდეალურადაა, არის თავის მოტყუება და საზოგადოების შეცდომაში შეყვანა. ეთერში ციფრებით მანიპულირებდა. სამწუხაროდ, გადაცემის წამყვანი არ იყო იმ დონეზე მომზადებული, რომ შესაბამისი კითხვები დაესვა, ან საწინააღმდეგო არგუმენტები მოეყვანა. ბიძინა ივანიშვილის წერილშიც არის გარკვეულწილად სწორი ინფორმაციები, მაგრამ ციფრებით მანიპულაციას აქაც ვერ ავცდით. ამიტომ ვამბობ, ქუმსიშვილმა და ხადურმა მოიტანონ ეს ციფრები დებატებში. მოსახლეობას თვალნათლივ დავანახვებ, რომ ზოგ შემთხვევაში სრულიად უადგილოა კონკრეტული ციფრები, ძირითად შემთხვევაში კი – მანიპულაცია. ერთმანეთს ადარებენ ვაშლებსა და საზამთროებს, გაუგონარ სისულელეებს ამბობენ. ყველა მხარეს აქვს თავისი არგუმენტები?! პრობლემა არ არის, მოიტანონ და დაარწმუნონ მოსახლეობა, რომ ის ციფრები, რომელიც მათ მოჰყავთ, არის სწორი. ჩემი კითხვებიც ბევრად ჩამჭრელი იქნებოდა, საკითხში გარკვეული ადამიანის პოზიციიდან დასმული და დარწმუნებული ვარ, რომ მათ, უბრალოდ, გაჩუმება მოუწევდათ, რადგან არგუმენტები, რაც მათ მოჰყავთ, არაა საკმარისი იმის დასამტკიცებლად, რომ ქვეყანა კარგ ხელშია. გარდა იმისა, რომ მოსახლეობას უშუალოდ ველაპარაკებით, დებატები არის სწორედ ის ფორმა, სადაც საზოგადოება დაინახავს, რა არის რეალისტური.

**— ლარის გამყარებაზე რას გვეტყვით? ეროვნული ბანკის პრეზიდენტის, გიორგი ქადაგიძის შეცვლის შემდეგ მნიშვნელოვნად გამყარდა ეროვნული ვალუტა, საგარეო ფაქტორები რომ დიდად არ შეცვლილა, ფაქტია, რასაც ასახელებდნენ ერთ-ერთ მთავარ მიზეზად გაუფასურების. რა მოხდა, რატომ გამყარდა ლარი?**

– მე რასაც ვუყურებ, ეროვნული ბანკის პოლიტიკა დიდად არ შეცვლილა მას შემდეგ, რაც პრეზიდენტი გამოიცვალა. ამიტომ არ მგონია, ეს რაიმე კავშირში იყოს პრეზიდენტის გამოცვლასთან. უბრალოდ, როგორც ჩანს, დოლარის შემოდინებებია გაზრდილი და ამის გამო ხდება ეს, თორემ განსაკუთრებული ნაბიჯები, რომ ეროვნულ ბანკს პოლიტიკა შეეცვალა, არაფერი მსგავსი არ მომხდარა. რა პოლიტიკაც იყო, ის გრძელდება.

**— მიუხედავად მრავალფეროვანი პოლიტიკური სპექტრისა წლევანდელ არჩევნებზე, აქცენტი და გამოწვევა მხოლოდ „ოცნებისა" და „ნაციონალების" მიმართ გააკეთეთ. ერთს უამრავი დანაშაული, მძიმე შეცდომა აქვს ჩადენილი 9-წლიანი მმართველობის პერიოდში, მეორემ კი ვერ შეძლო მოსახლეობის ნდობის გამართლება და ოცნებები, რომელიც საზოგადოებას შეუქმნა, ოცნებადვე დარჩა... თქვენც თვლით, რომ მთავარი ბრძოლა მაინც ამ ორ პოლიტიკურ სუბიექტს შორის იქნება? მაშინ როცა მოსახლეობის 60% „გადაუწყვეტელი" ამომრჩეველია და ყველა დანარჩენ პარტიას ამ დიდი პროცენტის იმედი გაქვთ?**

– არა მგონია, ეს არჩევანი იდგეს ახლა მოსახლეობის წინაშე, რომ ან ერთ პარტიას მისცეს ხმა, ან მეორეს. მათი რეიტინგი, ორივესი ძალიან დაბალია. „ოცნების" რეიტინგი ჩამოსულია 15%-მდე, „ნაციონალების" კი 2012 წლის შემდეგ ერთ ადგილზეა გაჩერებული და არ იზრდება. ამიტომ არა მგონია, ასეთი შავი და თეთრი იყოს წლევანდელი არჩევნები. მიუხედავად იმისა, რომ ეს ამ ორ პარტიას, ცხადია, აწყობს და ისინი ყველანაირად ეცდებიან, არჩევნებამდე ისე წარმოაჩინონ სურათი, თითქოს სხვა არჩევანი ამ ქვეყანაში არ არსებობს. ამიტომ ჩვენზე, სხვა პოლიტიკურ ძალებზე, ბევრია დამოკიდებული, რომ მოსახლეობა დავარწმუნოთ, ამ ორი პოლიტიკური ძალის გარდა, სხვა ალტერნატივაში.

**„ყველა მხარეს აქვს თავისი არგუმენტები?! პრობლემა არ არის, მოიტანონ და დაარწმუნონ მოსახლეობა, რომ ის ციფრები, რომელიც მათ მოჰყავთ, არის სწორი. ჩემი კითხვებიც ბევრად ჩამჭრელი იქნებოდა, საკითხში გარკვეული ადამიანის პოზიციიდან დასმული და დარწმუნებული ვარ, რომ მათ, უბრალოდ, გაჩუმება მოუწევდათ, რადგან არგუმენტები, რაც მათ მოჰყავთ, არაა საკმარისი იმის დასამტკიცებლად, რომ ქვეყანა კარგ ხელშია"**

## „მის თურქეთს" ერდოღანის შეურაცხყოფისთვის 14-თვიანი პატიმრობა მიუსაჯეს



სტამბოლის სასამართლომ „მის თურქეთს" მერვე ბუიუქსარაჩს 14-თვიანი პირობითი სასჯელი მიუსაჯა ქვეყნის პრეზიდენტის, რეჯეფ თაიფ ერდოღანის შეურაცხყოფისთვის.

სასამართლოს განაჩენში აღნიშნულია, რომ თუ მომდევნო 5 წლის განმავლობაში 27 წლის მოდელი ერდოღანს კვლავ მიაყენებს შეურაცხყოფას, პირობითი სასჯელი რეალურით შეიცვლება.

მოდელის ადვოკატმა განაცხადა, რომ განაჩენის გასაჩივრებას სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოში აპირებს.

ბუიუქსარაჩი შარშან „ინსტაგრამში" გამოქვეყნებული სტატუსისთვის დააკავეს. მან ინტერნეტში დაბეჭდილი სატირული ლექსი გამოაქვეყნა, რომელიც, ბრალდების მხარის აზრით, პრეზიდენტ ერდოღანის შეურაცხყოფას შეიცავდა. თავად „მის თურქეთმა", რომელმაც ეს ტიტული 2006 წელს მოიპოვა, აცხადებს, რომ პოლიტიკოსის შეურაცხყოფას არ აპირებდა. (kvira.ge)

## მოსკოვში ხიდზე თვითმკვლელობის საგანგაშო სისტემა დაამონტაჟეს



მოსკოვში, კრიმსკის ხიდზე თვითმკვლელობის კომპიუტერული განგაშის სისტემა დაამონტაჟეს.

როგორც ცნობილია, სისტემა სათვალთვალო კამერას იყენებს, რომელიც იმ შემთხვევაში, თუ ვინმე ხიდიდან გადახტება, სასწრაფო სამედიცინო დახმარებას დაუკავშირდება.

იქაური მედიის ინფორმაციით, რუსეთში თვითმკვლელობის მაღალი მაჩვენებელია.

როგორც ცნობილია, ქვეყანაში ახალგაზრდების მიერ თავის მოკვლის შემთხვევებმა იმატა. (gurianews.com)

## ჩადის პრეზიდენტს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს



სენეგალის სასამართლომ ჩადის ყოფილი პრეზიდენტი ჰისენ ჰაბრე კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებში დამნაშავედ ცნო და სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა.

ჩადის ყოფილ ლიდერს, რომელსაც „აფრიკელ პინოჩეტის" უწოდებენ, 1982-1990 წლებში 40 000 ადამიანის მოკვლის, ასევე, პატიმრების გაუპატიურებების ბრძანების გაცემაში ედებოდა ბრალი.

ჰისენ ჰაბრე ჩადიდან 1990 წელს, სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ გაიქცა. ის 2013 წელს სენეგალში დააკავეს.

ჩადიში ჰისენ ჰაბრეს სასიკვდილო განაჩენი დაუსწრებლად აქვს გამოტანილი. (ნიუპოსტი)

## „ისლამური სახელმწიფოს" წევრების ხელფასების გრაფიკი



თურქული მედიის ინფორმაციით, თურქეთში ჩატარებული ანტიტერორისტული სპეცოპერაციის ფარგლებში, ადგილობრივმა პოლიციამ ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფოს" წევრების სახელფასო გრაფიკი მოიპოვა.

მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, გრაფიკში 23 ტერორისტის კოდური სახელი იყო ნახსენები. ხელფასი 120-დან 690 აშშ დოლარამდე მერყეობდა.

სახელფასო გრაფიკის მიხედვით, დასაოჯახებელი ტერორისტი 120 დოლარს, ხოლო დაოჯახებული ტერორისტი 120 დოლარს მეუღლისთვის, 50 დოლარს კი შვილისთვის იღებს.

ასევე, ცნობილია, რომ კომუნალური გადასახადებისთვის დამატებითი თანხაა გამოყოფილი. (pia.ge)

## აშშ საკუთარ მოქალაქეებს ევროპაში შესაძლო ტერაქტების შესახებ აფრთხილებს



აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაში აღნიშნულია, რომ ევროპაში ტერორისტული საფრთხე მიმდინარე წლის 31 აგვისტომდეა გაგრძელებული.

უწყების ინფორმაციით, ევროპაში კვლავ შენარჩუნებულია ტურისტულ ღირშესანიშნაობებზე, ასევე, რესტორნებსა და ტრანსპორტზე ტერორისტების თავდასხმის საფრთხე.

– ზაფხულში ევროპაში მრავალი ტურისტი ჩადის და ისინი ტერორისტებისთვის პოტენციურ მიზანს წარმოადგენენ. თავდასხმები შეიძლება მოხდეს ადამიანების მასობრივი თავშეყრის ადგილებში, — წერია განცხადებაში.

10 ივნისს ევროპის საფეხბურთო პირველობის დაწყებასთან დაკავშირებით, ტერორისტების თავდასხმის ობიექტები შეიძლება გახდეს სტადიონები და ფანების თავშეყრის ადგილები — კაფეები და ბარები, სადაც მატჩების ტრანსლირება მოხდება. (kvira.ge)

## მსოფლიოში 48,5 მილიონი ადამიანი მონობაში ცხოვრობს



თანამედროვე მონობის ფორმებთან მებრძოლმა ფონდმა Walk Free Foundation-მა მონობის გლობალური ინდექსი გამოაქვეყნა, რომლის მიხედვით მსოფლიოში ამჟამად 48,5 მილიონი ადამიანი მონობაში ცხოვრობს. მათგან 58 პროცენტი ინდოეთში, პაკისტანში, ჩინეთში, ბანგლადეშსა და უზბეკეთში ცხოვრობს.

ანგარიში ოფიციალურ სტატისტიკას, არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშს, ასევე, დაზარალებულების ინტერვიუებს ეყრდნობა. ამასთანავე, Walk Free Foundation-ის მეთოდოლოგია ხშირად კრიტიკის საფუძველი ხდება, ვინაიდან ექსპერტების აზრით, ის რეალურ სურათს არ ასახავს. მონობის თანამედროვე ფორმებს, ექსპერტების განცხადებით, მიეკუთვნება სიტუაცია, როდესაც ადამიანი სამსახურზე ან რაიმე სახის საქმიანობაზე უარს ვერ ამბობს, ვინაიდან მას ემუქრებიან. მონობას დაძალებით გათხოვებაც მიეკუთვნება. (kvira.ge)

## იაპონიამ ქვეყნის შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ბრძანება გასცა



იაპონიის მთავრობამ ქვეყნის შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ბრძანება გასცა. გადაწყვეტილება მას შემდეგ იქნა მიღებული, რაც გავრცელდა ინფორმაცია, რომ შესაძლოა, უახლოეს მომავალში ჩრდილოეთ კორეამ მორიგი ბალისტიკური რაკეტა გამოსცადოს. აღნიშნულ ინფორმაციას ადგილობრივი ტელეკომპანია სამთავრობო წყაროზე დაყრდნობით ავრცელებს.

წყაროს ინფორმაციით, საუბარია მაღალი ხარისხის რადარებსა და ანტისარაკეტო თავდაცვის სისტემებზე.

როგორც სააგენტო „როიტერი" წერს, მიმდინარე წლის დასაწყისში იაპონიამ თავდაცვის ძალების საბრძოლო მზადყოფნაში მინიმუმ ორჯერ მოიყვანა მას შემდეგ, რაც ჩრდილოეთ კორეის მიერ ბალისტიკური რაკეტის გამოცდის ნიშნები შეინიშნებოდა.

აპრილის ბოლოს, ჩრდილოეთ კორეის მიერ ბალისტიკური რაკეტის გამოცდა მარცხით დასრულდა. (ipress.ge)

## იმ ქვეყნებიდან დაბრუნებულ ადამიანებს, სადაც „ზიკას" ვირუსის ეპიდემია მძვინვარებს, სექსს უკრძალავენ



ტურისტები, რომლებიც იმ ქვეყნებიდან დაბრუნდნენ, სადაც „ზიკას" ვირუსის ეპიდემია მძვინვარებს, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია 8 თვის განმავლობაში სექსისგან შეკავებას, ან უსაფრთხო სექსს ურჩევს.

მანამდე ჯანმო ამ ადამიანებს სექსისგან თავშეკავებას 4 კვირის განმავლობაში ურჩევდა.

რამდენიმე დღის წინ ჯანდაცვის სფეროს 125-მა ექსპერტმა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციას წერილი გაუგზავნა, რომელშიც „ზიკას" ვირუსის გამო რიო-დე-ჟანეიროს ოლიმპიადის გადადების, ან ბრაზილიიდან სხვა ქვეყანაში გადატანის თხოვნით მიმართეს.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ „ზიკას" ვირუსი გლობალურ საფრთხედ აღიარა. ის 2 მილიარდზე მეტ ადამიანს ემუქრება. (kvira.ge)

## ნატოს წევრი ევროპული ქვეყნები სამხედრო ხარჯებს გაზრდიან




ნატოს გენერალური მდივნის განცხადებით, რუსეთის აგრესიის საფრთხის ფონზე ნატოს წევრი ევროპული ქვეყნები, პირველად თითქმის 10 წლის შემდეგ სამხედრო ხარჯებს გაზრდიან.

– 2016 წლის პროგნოზი, რომელიც მოკავშირე ქვეყნების მონაცემებს ეფუძნება, აჩვენებს, რომ მრავალი წლის განმავლობაში, 2016 წელს პირველად ევროპელი მოკავშირეების თავდაცვის ხარჯები გაიზრდება. ჩვენ გაურკვევლობას, საფრთხეების მზარდ რაოდენობას, უსაფრთხოების სფეროში გამოწვევებს ვაწყდებით. ამიტომ ერთიანობა, ძალა და სტაბილურობა გვჭირდება, - აცხადებს იენს სტოლტენბერგი. (ნიუპოსტი)

## „რუსეთი შავი ზღვის ნატოს ტბად გადაქცევას არ დაუშვებს"

ნატოში რუსეთის მუდმივი წარმომადგენელის ალექსანდრე გრუშკოს განცხადებით, რუსეთი შავი ზღვის ნატოს ტბად გადაქცევას არ დაუშვებს. ამის შესახებ მან Российская Газета-სთვის მიცემულ ინტერვიუში ისაუბრა.

– ცოტა ხნის წინ თურქეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ დაუშვებელია შავი ზღვის „რუსულ ტბად" გადაქცევა. მაგრამ ნატოში კარგად ესმით, რომ შავი ზღვა არც „ნატოს ტბად" გადაიქცევა. ნატოს ქმედებები აღმოსავლეთ ფლანგზე უპასუხოდ არ დარჩება. ჩვენ ყველა საჭირო ზომას მივიღებთ, - განაცხადა ალექსანდრე გრუშკომ. (ნიუპოსტი)

# რა პრობლემები შეექმნებათ აბიტურიენტებს ეროვნულ გამოცდებზე?

დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80

**განათლების სამინისტრომ ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა დაამტკიცა. რა არის მასში სიახლე? რის გადასაფარად დასჭირდა უწყებას ამ საკითხის ახლა წამოწევა? რა პრობლემები შეექმნებათ აბიტურიენტებს 2016 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე?**

**„ალიას“ „საგანმანათლებლო ალიანსის“ ხელმძღვანელი, მარიამ რამინაშვილი ესაუბრა:**



– როგორც ჩემთვის ცნობილია, ამ ეტაპისთვის დამტკიცებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მხოლოდ და მხოლოდ პირველი, მეორე და მესამე კარი. თავები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის, ზოგად საფეხურებსა და მიზნებს, ასევე, სხვადასხვა ადმინისტრაციულ ქმედებებს მოიცავს, ამ დამტკიცებულ ვარიანტში არ არის. განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დაამტკიცა, მხოლოდ და მხოლოდ საგნობრივი ჩამონათვალის რელიზისეული ვერსია. რეალურად, ეს აქტივობა ფორმალურია. დაახლოებით ერთი წელია, აანონსებს სახელმძღვანელოების გრიფირების საკითხს. ზოგადად კი, სახელმძღვანელოების გრიფირებაზე საუბარი 2012 წელს დაიწყეს, ანუ მაშინვე როდესაც ხელისუფლებაში მოვიდნენ. იმ პერიოდიდან საუბრობენ, რომ თურმე უვარგისი სახელმძღვანელოები გვქონდა და უნდა შეცვლილიყო. მიუხედავად ამისა, ამ საკითხის მოგვარება უწყებამ კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში ვერ მოახერხა. სწორედ ამიტომაც, მათი ამ აქტივობით, საზოგადოებას უთხრეს, რომ თურმე საგნობრივი სტანდარტები დამტკიცებულია და ეს ნიშნავს, რომ გრიფირება უნდა გამოცხადდეს, რითაც ის ნაკისრი ვალდებულება უნდა შეასრულონ, რომელიც 2012 წელს აიღეს საკუთარ თავზე და მერე 2015 წელს, სამწლიანი ანგარიშის წარდგენის დროს თქვეს, რომ მიმდინარე წლის სექტემბერ-ოქტომბერში დასრულდებოდა სახელმძღვანელოების გრიფირების პროცესი, რომელიც არათუ დასრულდა, არამედ არც კი დაწყებულა და ეს განცხადება გააკეთა პრემიერ-მინისტრმა პარლამენტის წინაშე.

საქმე ისაა, რომ არ არსებობს, თვით სახელმძღვანელოების გრიფირების მინიჭების წესი. მიუხედავად ამისა, მინისტრი და მისი მოადგილეები საკმაოდ ხმაურიან განცხადებებს აკეთებდნენ, რომ აუცილებელი იყო გრიფირების ახალი წესის შემოღება და სხვადასხვა დროს ამაზე საუბრობდნენ. მეტიც, 2015 წლის თებერვალში, მინისტრმა თქვა, რომ გაზაფხულზე არათუ გრიფირების პროცესი იქნებოდა დასრულებული, არამედ ტენდერიც კი გამოცხადდებოდა სახელმძღვანელოების დაბეჭდვასთან დაკავშირებით. არც ერთი ეს პროცესი არ დაწყებულა დღემდე, სახელმწიფომ ვერ შეძლო დაწყებითი სკოლის სახელმძღვანელოების კანონით გათვალისწინებულ ვადაში გრიფირების პროცესის უზრუნველყოფა. ის, რომ ამას ვერ შეძლებდნენ, ეს მათ იცოდნენ მაშინაც, როცა ხელისუფლებაში მოვიდნენ. იქიდან გამომდინარე, რომ მოისურვეს საკუთარი უუნარობის დამალვა, სამინისტრომ თავადვე შეუწყო ხელი იმ ხმაურის ატეხას, რაც მაშინ ატყდა „მე და საზოგადოებასთან“ დაკავშირებით, რაც მერე არგუმენტად გაიხადეს, რის გამოც ვერ ახერხებდნენ გრიფირების პროცესის დაწყებას.

**— რა არის საჭირო, რომ გრიფირების პროცესი გამოცხადდეს, რა არის პრობლემა?**

– იმისთვის, რომ გრიფირების პროცესი გამოცხადდეს, საჭიროა საგნობრივი პროგრამების დამტკიცებული ვერსიები, რაც სახელმძღვანელოების ავტორებისთვის წინაპირობა ხდება, რომ ამ ახალ შემუშავებულ ვარიანტზე მორგებით შექმნან ახალი სახელმძღვანელოები. ეს ვერ გააკეთეს. კომპეტენცია არ ჰყოფნით განათლების არც ერთ სეგმენტში. ჩემი ინფორმაციით, მათი ეს აქტივობა, სწორედაც ამისთვის იყო გამიზნული და მერე, რაც აშკარად გამოჩნდა, იყო ის, რომ სამინისტროს მხრიდან გამოიკვეთა მათ მიერ მიღებული ნებისმიერი ინიციატივის წინაშე უსუსურობა.

**— რას გულისხმობთ?**

– ყველას კარგად ახსოვს იანვარ-თებერვალში მიმდინარე პროცესები ახალი საგნის დანერგვასთან დაკავშირებით, რომლის განხილვაც ძალიან დიდი ხმაურის ფონზე მიმდინარეობდა. ამ ხმაურით სამინისტრო ცდილობდა, დაემალა საკუთარი უუნარობა, რომ არ შეეძლო, მიეღო გადაწყვეტილება იმ კომპეტენციაში, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ მისი ვალდებულება იყო.

რეალურად, ეროვნული სასწავლო გეგმის ის ვარიანტი, რომელსაც გვთავაზობენ, არავის არ სჭირდება 2016-2017 სასწავლო წლის დაწყებისთვის. თავადვე აცხადებენ კიდეც, რომ აღნიშნული ვერსია ძალაში შევა 2017 წლის სექტემბრიდან. გარდა ამისა, ეროვნული სასწავლო გეგმის პირველი და მეორე კარი, რომლებიც ძალიან მნიშვნელოვან დეტალებს მოიცავს სკოლის ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის მუშაობისთვის და წარმოადგენს აუცილებელ დოკუმენტს, საერთოდ არ არსებობს ამ წარმოდგენილ ვერსიაში და არის მხოლოდ მესამე კარი, რომელიც ეხება საგნობრივ პროგრამებს.

ეს საგნობრივი პროგრამები, რომლებიც, ასევე, არანაირად არ არის საჭირო 2016-17 წლის სასწავლო პროცესისთვის, ამ ეტაპზე, მისი დამტკიცება და დაანონსება სამინისტროს სჭირდება მხოლოდ და მხოლოდ ერთი მიზნისთვის – ის ტყუილი, რომელიც უკვე სამი წელიწადია გვესმის მინისტრისა და მისი მოადგილეებისგან, რაღაცნაირად არ გაიპაროს და არ გახდეს ხმაურის საგანი, ვინაიდან, 2015 წლის ანგარიშში ეს აქტივობა შეტანილი იყო, ისე, როგორც უკვე შესრულებული აქტივობა. სწორედ ამისთვის დასჭირდათ ეს ყველაფერი, თუმცა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვერც ეს უშველის, ვინაიდან სამინისტრომ, თავისი უმოქმედობითა და უვიცობით, ჯერ ერთი, სახელმწიფოს ბიუჯეტს 10 მილიონამდე თანხას დაახარჯვინებს მომავალი სექტემბრისთვის, რადგანაც სექტემბერში არ გვექნება ახალი სახელმძღვანელოები, შესაბამისად, ის არგუმენტი, რომელიც შარშან მოჰყავდა მინისტრს, თუ რატომ არ შეავსო ძველი სახელმძღვანელოები ახლებით – 2016-2017 წლიდან გამოიცვლებაო, ახლა უკვე კიდევ უფრო გაიზრდება ამ უხარისხო და უვარგისი სახელმძღვანელოების რაოდენობა, იმიტომ, რომ ძველი ვერსიების დაბეჭდვა გახდება სავალდებულო, რომ წინასაარჩევნოდ მოსწავლეებს არ შეექმნათ რაიმე პრობლემა წიგნებთან დაკავშირებით, რაც მერე სალაპარაკო გახდება.

**„სწორედ ამისთვის დასჭირდათ ეს ყველაფერი, თუმცა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვერც ეს უშველის, ვინაიდან სამინისტრომ, თავისი უმოქმედობითა და უვიცობით, სახელმწიფოს ბიუჯეტს 10 მილიონამდე თანხას დაახარჯვინებს მომავალი სექტემბრისთვის, რადგანაც სექტემბერში არ გვექნება ახალი სახელმძღვანელოები“**

გარდა ამისა, მინდა ვუთხრა აბიტურიენტებს, რომ ერთიანი ეროვნული გამოცდები საკმაოდ რთულ ვითარებაში ჩაივლის, ვინაიდან ერთიანი ეროვნული გამოცდების კომპიუტერული სისტემის დანერგვა, გაურკვევლობას გამოიწვევს რიგ აბიტურიენტებში. აბიტურიენტები მარტო დიდ ქალაქებში არ გვყავს. აბიტურიენტები გვყავს, ასევე, მაღალმთიან რეგიონებში, რომელთაც არ აქვთ იმ სიხშირითა და ხარისხით კომპიუტერთან შეხება, როგორც ქალაქებში. ამიტომაც მათ აუცილებლად ექნებათ გარკვეული პრობლემები და ეს სიახლე, მანამ, სანამ სრულიად საქართველოს ყველა სკოლის აღჭურვა არ მოხდებოდა კომპიუტერებით, ასეთ აქტივობები და ჩანაცვლებები არ უნდა გაეტარებინათ.

მოკლედ გეტყვით, რა მიმართულებით გვექნება, ამ მხრივ, პრობლემები – პირველ რიგში, რეგიონების მოსწავლეები არ არიან შეგუებული ტექნიკასთან სააზროვნო პროცესში მუშაობას, რაც აბსოლუტურად სხვა ტიპის უნარებს მოითხოვს. ბევრად რთულია მათთვის, ელექტრონულ ფორმატში წაიკითხოს, გაიაზროს და შეასრულოს დავალება. მით უფრო, როცა საგაკვეთილო პროცესში არ არსებობს კომპიუტერის ჩართულობა, მით უმეტეს, როცა საკითხი ეხება რთული აქტივობების შესრულებას. ასევე, ისე, რომ ამ საკითხში არც კი იყო აპრობაცია გავლილი, თითქოს დრო მოუმატეს, მაგრამ რეალურად, სულ რაღაც, 5 წუთია სხვაობა ძველ დროსთან, რაც აბსოლუტურად არ არის თანხვედრაში.

ასეთი მიდგომები რომ არსებობს, ამიტომაცაა, ასეთი დაბალი მაჩვენებელი რომ მივიღეთ საატესტატო გამოცდებზე. ათასობით მოსწავლე ჩაიჭრა და მათ შორის დაახლოებით 6 500 უცხო ენაში, რაც პირდაპირ შემიძლია ვთქვა, უკავშირდება იმას, რომ უცხოენოვანი პედაგოგების ჩამოყვანის პროგრამა შეაჩერეს. გარდა ამისა, აუცილებლად უნდა გავუსვათ ხაზი იმასაც, რომ სკოლების მე-12 კლასში სასწავლო პროცესი თითქმის არც ხორციელდება, მინიმუმამდეა დაყვანილი, ის მაჩვენებელი კი, რომელიც გვაქვს, მოცემულია რეგიონების ხარჯზე. მე-12 კლასში თითქმის ყველა ჩართულია ერთიანი ეროვნული გამოცდების სამზადისში, არავინ დადის სკოლებში – თუ არ ჩავთვლით წელიწადში 4-ჯერ გამოცხადებას, რასაც ფორმალობა ითხოვს და შედეგიც შესაბამისია, რაზეც პასუხისმგებლობა უნდა აიღოს მინისტრმა, სამინისტრომ, რომლებმაც ვერანაირად ვერ უზრუნველყვეს სასწავლო პროცესის შენარჩუნება საშუალო სკოლებში.

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00







1. ცეკვა მულენ-რუჟში
2. ბიბლიური მოსეს ძმა
3. მსახიობი დონატას ...
4. ფრან-გული ღვინო
5. მინდვრის ყვავილი
6. მოსე-ვადების ტექნიკა
7. მდინარე ინდოეთში
8. ... ჩემო ვენახო
9. კონტი-ნენტი
10. შაბათ საღამო
11. ... ძმისთვისაო, შავი დღისთვისაო
12. მწერალი ტომას ... რიდი
13. გრიბო-ედოვი. „... ჭკუი-საგან“
14. მსახიობი ... რივზი
15. მუსიკალ. ნაწარმ. ტემპი
16. სომხეთის ძველი დედაქა-ლაქი
17. უკანონოდ მონადირე
18. ღვიძლის ძეხვი
19. ანტი-კური საბერძ-ნეთი
20. საყურე წარბში
21. ლენონის ქვრივი
22. ... გაფრინ-დაშვილი
23. პოპოვის გამოგო-ნება
24. თხელი, სიფრი-ფანა
25. ოპერა „... დალაქი“
26. მხატვარი დიეგო ...
27. ... თათქა-რიძე
28. ზედაპი-რიდან ასხლეტვა
29. მომ-ღერალი მერაია ...
30. რუსი საბჭოთა კლოუნი
31. მწერალი ... ქიაჩელი
32. თამაში: ...-ტაფელა
33. მსახიობი ... ლი ჯონსი
34. ამერიკელი მომღერალი ქალი
35. ჯგუფად მდგარი ხეები
36. ... შანელი
37. ... ერთობაშია
38. მეგობ-რული შარჟი
39. იალქანი
40. დარტყმა კრივში
41. ... ჰერცეგო-ვინა
42. სომ-ხური გვარის ნაწილაკი
43. მსახიობი ლოურენს ...
44. ჩრდილო-ეთის ირემი
45. მომ-ღერალი ფილიპ ...
46. უპიგ-მენტო ორგანიზმი
47. ფეხ-ბურთელი გივი ...
48. მზის საათი მოედანზე
49. ნაბიჯი ბალეტში
50. ყვავილი
51. იაპონური თეატრი
52. გამის ნოტი
53. შვერილი შენობის კედლის თავზე
54. მომ-ღერალი პერი ...
55. მსახიობი ... კრუზი
56. ფურცლის ერთი მხარე
57. რე-ჟისორი ალფონსო ...
58. მხატვარი ... თოიძე
59. ქალაქი იაპონიაში
60. სამოთხის ბაღი
61. ტბა აფხა-ზეთში
62. ცისა-რტყელას ფერი
63. მსახიობი ... დეიმონი
64. ქიმიური ელემენტი
65. პიესა „... და ჯულიეტა“
66. მხ/ფ „დიკ ...“
67. მამლის ჯიღა
68. რე-ჟისორი ... ჰოვარდი
69. ჩონჩხის ნაწილი
70. ხილის ნაჭუჭიანი გული
71. სინონიმი, ანტონიმი და ...
72. სოფელი რაჭაში
73. მაიმუნის სახეობა
74. მწვერვალი კავკა-სიონზე
75. შტატი აშშ-ში
76. მწერალი ... ტვენი
77. ჰაცე, ვირო, არ მოკვდე, გაზა-ფხულზე ... ამოვაო
78. ზევსის მამა
79. ზამბახი
80. ტბა აფრიკაში
81. მსახიობი ... სპეისეკი
82. დერეფანი
83. „ბეჭ-დების მბრძან.“ ჰობიტი
84. ბედი
85. პურის სოკო
86. მსახიობი ... აფლეკი
87. ფედე-რიკო ფელინის ფილმი
88. მტაცე-ბელი ფრინველი
89. ენათმეც-ნიერი ვახუშტი ...
90. „ღვინის ქურდები“ კავსაძე
91. მხატვარი ... გრეკო
92. ელვის ... პრესლი
93. მსახიობი ... ბანდერასი
94. მხატვარი კამილ ...
95. მსახიობი ... ჩანი
96. ქალაქი სამეგრე-ლოში
97. უნაპირო ზღვა ატლანტის ოკეანეში
98. საჭმელი ბავშვის ენაზე
99. მწერალი ... მოემი
100. ნიადაგი, გრუნტი
101. გადა-მდნარი კარაქი
102. დიზაინერი ჯორჯო ...
103. პოეტი ... ცვეტაევა
104. ყვავის ბარტყი
105. ავტო-საგზაო შემთხვევა
106. დაუდუ-ღებელი ღვინო
107. ... ფიტცჯე-რალდი
108. ... პუგაჩოვა
109. ქალაქი ყირიმზე
110. ვულკა-ნური მასა
111. ბეწვი, ბალანი
112. ხეობა აჭარაში
113. ..-სენ ლორანი
114. შინაური მტაცებ. ცხოველი
115. სამხედრო შენაერთი
116. არგენ-ტინული ჩაი
117. დღის დასა-წყისი
118. იაპონური ჭიდაობა
119. ფარაონის სამარხი
120. ქიმიური ჭურჭელი
121. გემის მთავარი კოჭი

პასუხები: 1. კანკანი; 2. აარონი; 3. ბანიონისი; 4. ბურბონი; 5. ბაბუაწვერა; 6. ნიელო; 7. განგი; 8. ვაიმე; 9. აზია; 10. კვირაძალი; 11. ძმა; 12. მაინ; 13. ვაი; 14. კიანუ; 15. მოდერატო; 16. ანისი; 17. ბრაკონიერი; 18. ლივერი; 19. ელადა; 20. პირსინგი; 21. ონო; 22. ნონა; 23. რადიო; 24. ფარატინა; 25. სევილიელი; 26. ველასკესი; 27. ლუარსაბ; 28. რიკოშეტი; 29. ქერი; 30. კარანდაში; 31. ლეო; 32. რიკ; 33. ტომი; 34. შერი; 35. კორომი; 36. კოკო; 37. ძალა; 38. კარიკატურა; 39. აფრა; 40. აპერკოტი; 41. ბოსნია; 42. ტერ; 43. ოლივიე; 44. მარალი; 45. კირკოროვი; 46. ალბინოსი; 47. ნოდია; 48. გნომონი; 49. პა; 50. ია; 51. ნო; 52. სი; 53. კარნიზი; 54. კომო; 55. ტომ; 56. გვერდი; 57. არაუ; 58. მოსე; 59. კიოტო; 60. ედემი; 61. რიწა; 62. წითელი; 63. მეთ; 64. სილიციუმი; 65. რომეო; 66. ტრეისი; 67. ბიბილო; 68. რონ; 69. მენჯი; 70. კურკა; 71. ომონიმი; 72. ირი; 73. მირიკინი; 74. იალბუზი; 75. ილინოისი; 76. მარკ; 77. იონჯა; 78. კრონოსი; 79. ირისი; 80. ნიასა; 81. სისი; 82. კორიდორი; 83. ფროდო; 84. სვე; 85. ობი; 86. ბენ; 87. „ამარკორდი“; 88. არწივი; 89. კოტეტიშვილი; 90. ელიზო; 91. ელ; 92. აარონ; 93. ანტონიო; 94. კორო; 95. ჯეკი; 96. აბაშა; 97. სარგასო; 98. ფია; 99. სომერსეტ; 100. მიწა; 101. ერბო; 102. არმანი; 103. მარინა; 104. ბახალა; 105. ავარია; 106. მაჭარი; 107. ელა; 108. ალა; 109. იალტა; 110. ლავა; 111. თმა; 112. მაჭახელა; 113. ივ; 114. კატა; 115. ბატალიონი; 116. მატე; 117. დილა; 118. სუმო; 119. პირამიდა; 120. კოლბა; 121. კილი. იკითხება: ნანი ბრეგვაძე. თამარ გვერდწითელი. სოფო ხალვაში.

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## 28 წლის ამერიკელმა გოგონამ შეტყობინებებისა და ზარების რეკორდი მოხსნა




ალბათ, არავის გიფიქრიათ, რომ შესაძლებელი იყო მობილური ტელეფონით წუთში 2.6 ათასი ზარის გაშვება. ეს უახლესი მონაცემებია, თორემ სხვა გადარეულმა შეყვარებულმა შესაძლოა, მომავალში რეკორდი გააუმჯობესოს და 3 ათას ზარამდეც ავიდეს. გააჩნია, სიგიჟის რა ზღვარზე იქნება ტრფობის ალით დამწვარი კონკრეტული ობიექტი.

ყოველ შემთხვევაში დღეს ზარებისა და მესიჯების რეკორდსმენი 28 წლის ამერიკელი გოგონაა, რომელმაც დაშორება ვერაფრით გადაიტანა და ყოფილ შეყვარებულთან კვირის განმავლობაში 77.693-ჯერ დარეკა და 41 ათასი შეტყობინება გაუგზავნა.

ხომ წარმოგიდგენიათ ამ უწყვეტი ზარ-შეტყობინების მიმღები ობიექტის ფსიქიკური მდგომარეობა. ჰოდა, ადგა და პოლიციაში განაცხადა, შედეგად კი გოგონა ციხეში აღმოჩნდა.

ასე დასრულდა მოუნელებელი სიყვარულის ამბავი

***plus.kvira.ge***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## ჩინელი მამაკაცი სარეცხ მანქანაში თავით გაიჭედა



ქართული ფილმი „ქვევრი“ გაგახსენდება კაცს, ან როგორ ჩაძვერი, ანუ თუ ჩაძვერი, რატომ ველარ ამოდიხარ. თავიდანვეც ეგ თავი და ეგ ტანი არ გქონდა?

ჩინეთის ერთ-ერთ პროვინციაში კაცი მთელი სხეულით არა, მაგრამ სარეცხ მანქანაში თავით კი გაიჭედა. თურმე, სავსებით უწყინარი მიზეზი ჰქონდა, სარეცხის გარეცხვა უნდოდა, მაგრამ მანქანა არ ჩაირთო. იფიქრა, ალბათ, რაღაც უჭირს, მოდი, შევხედავ, იქნებ, გვაკეთოოო. შეხედა და დარჩა. როგორღაც წუთებში თავი გაეზარდა და ველარ გამოატია. თავიდან საშველად მეზობლებს უხმო, მეზობლებმა რომ ვერაფრით გამოიყვანეს, სახანძრო სამაშველო სამსახურს დაურეკეს.

მაშველებმა კი, ჩვენ მაშველები ვართ, სასწაულმოქმედები კი არა, მანქანის გაჭრის გარეშე არაფერი გამოვაო და შესწირეს მანქანა პატრონის თავს.

ასე გააკეთა ჩინელმა კაცმა თავსა და სარეცხ მანქანას შორის არჩევანი.

***anekdot.dnya.ru***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## იტალიურმა სასამართლომ კაცს ნება დართო, ალიმენტი პიცით გადაეხადა



არ მაქვს ეს ალიმენტის ფული და მომკალი, თუ გინდაო, განაცხადა იტალიელმა ყოფილმა ქმარმა.

საქმე ისაა, რომ წყვილი 2002 წელს დაშორდა და ქმარი ყოფილ ცოლს ალიმენტის სახით ყოველთვე 400 ევროს უხდიდა. 2008 წლის კრიზისის შემდეგ კი ქმარს, რომელიც პიცის მცხობელია, საქმე ცუდად წაუვიდა და ალიმენტის გადახდა აღარ შეუძლია. ამიტომ გამოსავალი იპოვა და ქალს საფასურის ნატურით გადახდა შესთავაზა – უფასო პიცა და სხვა რესტორანში მომზადებული კერძები. ქალს ეს ვარიანტი არ მოეწონა, უარი განაცხადა და სასამართლოში იჩივლა.

სასამართლომ კი, გაითვალისწინა რა კაცის უკიდურესად გაჭირვებული მდგომარეობა, გადაწყვიტა, ალიმენტი ნატურალური ფორმით, ანუ პიცით გადაეხადა.

***anekdot-dnya.ru***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## რატომ მიაბეს ბეტონის ბლოკს 15 თვის ბავშვი?



ინტერნეტსივრცეში გავრცელდა ფოტო, რომელზეც 15 თვის გოგონა შივანი ფეხითაა მიბმული ბეტონის ბლოკზე. პატარამ მთელი დღე ასე გაატარა 40-გრადუსიან სიცხეში!

ფოტო გადაღებულია ინდოეთის ქალაქ ახმადაბადში, შუა ქუჩაში.

მთავარი ის არის, რომ მთელი დღის მანძილზე ბავშვს არავინ მიუახლოვდა. როდესაც, როგორც იქნა, შეამჩნიეს, გადაწყვიტეს, გაეგოთ ასეთი სისასტიკის ჩადენის მიზეზი.

აღმოჩნდა, რომ პატარა გოგონას ასე საკუთარი მშობლები მოექცნენ. მშობლები ამბობენ, რომ ბავშვის ასე ინტერესებიდან გამომდინარე მოიქცნენ. დედა და მამა საგზაო კომუნიკაციების სამსახურში მუშაობენ. მთელ დღეს ატარებენ სამშენებლო მოედანზე. სამაგიეროდ, 250 რუპიას (დაახლოებით $3,7) იღებენ დღე-ღამეში. ეს ფული მათ მხოლოდ საკვებზე ჰყოფნით, ძიძა მათთვის ფუფუნებაა...

„არ შეგვიძლია ბავშვების სახლში დატოვება, ჩვენ ხომ მუდმივად ქალაქიდან ქალაქში გადავდივართ სამშენებლო ბრიგადასთან ერთად, ღამე კი კარვებში გვძინავს. ჩვენ არ გვყავს ნათესავები, ვისთანაც შევძლებდით ბავშვების დატოვებას, ამიტომ თან მიგვყავს. მთელი დღის მანძილზე ბავშვებს მხოლოდ შესვენების (სადილის) დროს ვხედავთ. საკვები მხოლოდ მათ გამოსაკვებადაა საკმარისი.

ამჟამად ავტოსტრადის გვერდით ვმუშაობთ და გვეშინია, ბავშვებს მანქანა არ დაეჯახოს. უფროსი 5 წლისაა. მას უკვე ესმის, რა საშიშროებაა ქუჩაში და ამიტომ გზაზე არ გამოდის. გოგონა კი ჯერ საკმაოდ პატარაა და მანქანა რომ არ დაეჯახოს, იძულებული ვართ, სანამ ჩვენ შორს ვართ, ის რაიმეზე მივაბათ“, – ასე ხსნის ყოველივეს 23 წლის სარტა კალარა, გოგონას დედა.

საქველმოქმედო ორგანიზაცია Save the Children India-ს აქტივისტებმა გადაწყვიტეს, მთელი მსოფლიოს ყურადღება მიაქციონ ინდოელი ბავშვების პრობლემებისადმი. მათი მონაცემებით, ინდოეთში 40 მილიონამდე სამშენებლო სამუშაოა, სადაც მუშახელის მეხუთედს ქალები შეადგენენ. მათ უმრავლესობას კი ისეთივე პრობლემა აწუხებს, როგორიც შივანს აქვს.

***mshoblebi.ge***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## მკითხველი ბავშვები ზრდასრულ ასაკში უფრო მეტს გამოიმუშავებენ



თუ მეცნიერების დასკვნების გარეშე ვერ უნდა მივხვდეთ, რომ კითხვითა და განათლებით უფრო მარტივად მივაღწევთ წარმატებას, ვიდრე სიბრიყვითა და გაუნათლებლობით, ა, ბატონო, დასკვნაც.

იტალიელმა მეცნიერებმა ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში 6 ათასი ადამიანი გამოკითხეს. მეცნიერები მონაწილეებს სთხოვდნენ, რომ მათი საბავშვო ბიბლიოთეკისა და დღევანდელი, მიღწეული წარმატებების შესახებ მოეთხროთ. აღმოჩნდა, რომ ისინი, ვინც ბავშვობაში ბევრს კითხულობდნენ, წარმატების მაღალი დონით გამოირჩეოდნენ და ცხოვრებაში ბევრს აღწევდნენ. ისინი ხშირად იღებდნენ კარგ განათლებას, იკავებდნენ მაღალ თანამდებობებს და პატივსაცემ ადამიანებად ყალიბდებოდნენ.

კითხვა ტვინზე დადებით ზეგავლენას ახდენს – ლოგიკური აზროვნების უნარს ავითარებს. შედეგად კი, ადამიანები ისახავენ მიზნებს და აღწევენ კიდეც.

***myjane.ru***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## შეიქმნა ყურსასმენი, რომელიც სინქრონულ თარგმანს ჩაანაცვლებს



მათთვის, ვისთვისაც მოგზაურობისას ენობრივი ბარიერი გადაულახავი იყო და ამის გამო წუხდა, უკვე შექმნილია ყურსასმენი, რომელიც სინქრონულ თარგმანს ჩაანაცვლებს.

ცალკეული სიტყვებისა და ფრაზების გადასათარგმნად გუგლი აღარ დაგჭირდებათ, ყურსასმენი სრულად გადათარგმნის საუბარს.

მაგალითად, თუ იტალიელს ეკონტაქტებით, მას თავის ყურსასმენში თქვენი საუბარი იტალიურად ესმის, თქვენ კი თქვენს ენაზე.

ასე რომ, შეგიძლიათ, ისეთ ქვეყნებშიც წავიდეთ, სადაც საერთაშორისო ენები არათუ არ იციან, არამედ არაფერი სმენიათ. ჩვენ ყველას გავუგებთ.

***myjane.ru***



– ბატონო ოფიცერო, ალყაში ვართ!

– ძალიანაც კარგი, სერჟანტო, ახლა ნებისმიერი მიმართულებით შეგვიძლია შეტევა განვახორციელოთ.

*****

სვანმა ოქროს თევზი დაიჭირა და არ იცის, რა გააკეთოს. თევზი ეუბნება:

– მიდი ჩაიფიქრე.

– ეგ რას ნიშნავს?

– რას და აი, მაგალითად, გუშინ ერთმა კაცმა მთხოვა 1 000 000 დოლარი და მეც შევუსრულე თხოვნა. აბა, შენ რა გინდა?

– რა მინდა და იმ კაცის მისამართი მომეცი.

*****



ცოლი ქმარს ურეკავს:

– რას აკეთებ, ვიქტორა?

– რას და თევზს ვაწყობ წვნიანში.

– რა იცი მერე შენ, ეგ როგორ კეთდება?

– რა ცოდნა მაგას უნდა, გამხმარ თევზს ლუდს ვაყოლებ, სულ ეგაა.

*****

მსუქანი პაციენტი დიეტოლოგთან მივიდა, ექიმი სინჯავს და თან ესაუბრება:

– სიმსუქნის საწინააღმდეგო აბები რომ დაგინიშნეთ, თუ სვამთ?

– კი, ექიმო, ვსვამ.

– რამდენს?

– რა ვიცი, სანამ არ გავძღები, ვსვამ.

*****

ექიმმა მირჩია, ონკანიდან წყალი არ დალიო, ბაქტერიები მოჰყვებაო, ხილსა და ბოსტნეულს კი სანამ მიირთმევდე, ონკანის წყლით გადარეცხეო... ვერ გავიგე, სადაა აქ ლოგიკა?

*****



– ექიმო, თქვენთან რენტგენის გადაღება რა ჯდება?

– თქვენ ჩვეულებრივი გნებავთ?

– არაა, მხარზე მაიმუნით და უკან აუცილებლად ზღვის პეიზაჟით.

*მოამზადა დავით ახობაძემ*
*დავით ახობაძის ნახატი*

გვერდი მოამზადა **დარინა ქამადაძემ** 593 19-85-99

## ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);


## რძე აუცილებელია არა მხოლოდ ბავშვებისთვის, არამედ უფროსებისთვისაც



სუფრას რომ ჩიტის რძე არ აკლია, ამაყები არიან ხოლმე ოჯახის უფროსები, მაგრამ საკუთარ ორგანიზმს რომ აკლებენ ძროხის რძეს, ეგ არაფერი?! მერე, თქვე კაი ხალხო, სად ჩიტის და სად ძროხის რძე - რომელი უფრო ადვილი საშოვნელია? რასაკვირველია, ამ უკანასკნელის და ნუ ჩაიგდებთ ჯანმრთელობას საფრთხეში, არ შეიძლება?!

ამერიკელი და ავსტრალიელი მეცნიერების ჯგუფი მივიდა დასკვნამდე, რომ რძე და რძის პროდუქტები უფროსებისთვისაც ისევე აუცილებელია, როგორც ბავშვებისთვის.

აღნიშნული ფაქტი მათ ხანგრძლივი კვლევის შედეგად დაამტკიცეს.

კერძოდ, მთელი 35 წლის მანძილზე მეცნიერები 600 მოხალისეს სწავლობდნენ – აფიქსირებდნენ მათ ყოველდღიურ რაციონს, აკვირდებოდნენ მათ გულ-სისხლძარღვთა სისტემის მდგომარეობას და ასე შემდეგ. ჰოდა, აღმოჩნდა, რომ გულის პრობლემების რისკი გაცილებით დაბალი იყო იმ რესპონდენტებში, რომლებიც რძეს ან რძის პროდუქტებს რეგულარულად იღებდნენ.

სპეციალისტები განმარტავენ, რომ რძე არტერიებს საშუალებას აძლევს, შეინარჩუნონ ელასტიკურობა, რაც გულ-სისხლძარღვთა სისტემას სერიოზული უსიამოვნებებისგან იცავს.

***myjane.ru***

## ექიმების რეკომენდაციით, ტყუპების გაჩენა 37-ე კვირაში ჯობია



ავსტრალიელი მეცნიერები ადელაიდას უნივერსიტეტიდან ქალებს, რომლებიც ტყუპებს ელოდებიან, ურჩევენ, რომ ფეხმძიმობის 37-ე კვირაში იმშობიარონ. მათი მტკიცებით, ამით არაერთი გართულების თავიდან აცილება მოხერხდება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარებულ კვლევაში 235 ქალი მონაწილეობდა როგორც ავსტრალიიდან, ისე იტალიიდან და ახალი ზელანდიიდან.

აღმოჩნდა, რომ ვინც 37-ე კვირაზე იყო ნამშობიარები, გაცილებით ნაკლები პრობლემა შეხვდა როგორც უშუალოდ ბავშვების გაჩენისას, ისე მათი შემდგომი მოვლის პერიოდში.

პროექტის ხელმძღვანელი ჯოდი დოდი განმარტავს, რომ ტყუპებს საშვილოსნოში განვითარებისას მნიშვნელოვანი საფრთხეები ექმნებათ. ამის მიზეზი ერთის ან ორივე ბავშვის ზრდის პროცესის შეფერხებაა. განვითარების ტემპების შემცირებას შესაძლოა, ბავშვების არასაკმარისი წონა მოჰყვეს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მათ დამატებითი ზრუნვა დასჭირდებათ. უფრო მეტიც, არ არის გამორიცხული, შემდგომ ცხოვრებაში ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემებიც შეექმნათ.

***wordscience.org***

## ბრიტანელმა ქალმა კიბო 100 წლის ასაკში დაამარცხა



ძალიან მაგარი მაგალითია იმათთვის, ვისაც, სამწუხაროდ, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული გარკვეული პრობლემები შეექმნა და ამან ძალიან დააფრთხო. არა და არა! თუ ადამიანი გულით მოინდომებს, აუცილებლად ყველაფერს მოაგვარებს ზუსტად ისე, როგორც ეს 100 წლის ბრიტანელი დოროთი აფლეკის შემთხვევაში მოხდა.

დოროთი აფლეკს მკერდის კიბოს დიაგნოზი რამდენიმე წლის წინათ დაუსვეს, ოპერაცია კი, რომელიც პაციენტს არანაირ გარანტიებს არ აძლევდა, გასული წლის გაზაფხულზე ჩატარებულა.

სიტუაციას ართულებდა სიმსივნის უკვე საკმაოდ დამძიმებული ფორმა და რა თქმა უნდა, პაციენტის ასაკიც. ამის მიუხედავად, დოროთი აფლეკმა ბოლომდე ბრძოლა გადაწყვიტა და ცდილობდა, მხოლოდ დადებითზე ეფიქრა.

ექიმების თქმით, ფაქტობრივად, არავითარი შანსი არ არსებობდა იმისა, რომ პაციენტი არათუ დაავადებას დაამარცხებდა, არამედ ოპერაციას გადაიტანდა.

იქაური მედიის ინფორმაციით, 100 წლის დოროთი აფლეკი დღეს სრულიად ჯანმრთელია და ცდილობს, საკუთარი გამოცდილება სხვა ონკოპაციენტებსაც გაუზიაროს.

***tainamira.ru***

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**

**1 ივნისი:** გარშემო ყველაფრის შეცვლა მოგინდებათ. იქნებ არ ღირს. უმჯობესია, ყველაფერი კარგად აწონ-დაწონოთ და შეცვალოთ ის, რაც ძალიან გჭირდებათ.

**კურო 22.04-21.05**

**1 ივნისი:** შეიძლება ისეთი რამ მოხდეს, რასაც არ ელოდით. შეეცადეთ, გეგმები ისე დაალაგოთ, რომ საჭირო მომენტში ცვლილებები შეიტანოთ.

**ტყუპები 22.05-21.06**

**1 ივნისი:** შეიძლება ვიღაც თაღლითმა თავისი საქმე გაგაკეთებინოთ. ყურადღებით იყავით და დაეხმარეთ იმას, ვისაც ეს მართლა ესაჭიროება.

**კირჩხიბი 22.06-22.07**

**1 ივნისი:** ძალიან ფრთხილად იყავით. შეიძლება ისეთ რამეს დაეუფლოთ, რაც სათუთ მოპყრობას საჭიროებს, უყურადღებობა კი მას დააზიანებს.

**ლომი 23.07-22.08**

**1 ივნისი:** მოვლენების მართვა, რა თქმა უნდა, შესაძლებელია, მაგრამ ეს დღე ამისთვის შესაფერისი არ არის. ასე რომ, ამაზე არც კი იფიქროთ.

**ქალწული 23.08-22.09**

**1 ივნისი:** დღეს საკუთარი აზრის დაცვა მოგიწევთ და კარგი იქნება, თუ ამას ძალის გამოყენების გარეშე მოახერხებთ. არგუმენტები წინასწარ მოიფიქრეთ.

**სასწორი 23.09-22.10**

**1 ივნისი:** ეს დღე, სავარაუდოდ, უსიამოვნო იქნება. შეიძლება აღმოაჩინოთ, რომ ძალიან ახლობელი ადამიანი არ იმსახურებს იმ ნდობას, რასაც მის მიმართ იჩენთ.

**მორიელი 23.10-21.11**

**1 ივნისი:** სასურველია, ის საქმე დაამთავროთ, რომელიც რამდენიმე დღის წინ მიატოვეთ. წესით, უნდა გამოგივიდეთ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**

**1 ივნისი:** პატარა გამარჯვებას იზეიმებთ, თუმცა ეს დღე შეიძლება ტრიუმფადაც იქცეს. თუ ეს არ მოხდება, იქნებ დაფიქრდეთ, რამე ხომ არ არის შესაცვლელი.

**თხის რქა 22.12-19.01**

**1 ივნისი:** თუ მოინდომებთ, ძალიან მარტივად გამოიცნობთ, რა შეიძლება მოხდეს უახლოეს მომავალში არა მხოლოდ თქვენს თავს, არამედ ახლობლებთან დაკავშირებითაც.

**მერწყული 20.01-18.02**

**1 ივნისი:** გეჩვენებათ, რომ თქვენ გარდა, არავინ არაფერს არ აკეთებს. ეს ან მართლაც ასეა, ან ძალიან ბევრს მუშაობთ და ასე იმიტომ გეჩვენებათ.

**თევზები 19.02-20.03**

**1 ივნისი:** არ დასთანხმდეთ იმ საქმის კეთებაზე, რაც არ გინდათ. საამისო მიზეზის მოძებნა არ გაგიჭირდებათ. სხვა საქმის კეთებით მეტ სარგებელს მოიტანთ.


## გაზეთი „ალია“ სამუშაოდ იწვევს ჟურნალისტებს!

**დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:**

**577 74 99 89**

**„ალიას“ რედაქტორი თამაზ ბესტავაშვილი**

**(15 საათიდან)**


## მეცნიერებმა უძილობის ახალ მიზეზს მიაგნეს



ერთხელ მაინც ხომ გექნებათ გამოცდილი, როგორი საშინელებაა, როცა გამოუძინებელს სამსახურში აუარება საქმე გხვდებათ. რომც არ მუშაობდეთ, უძილობა მაინც ძალიან რთული გადასატანია...

ჩვეულებრივ, უძილობას იწვევს ნერვული დაძაბულობა, დაღლილობა, მღელვარება, მაგრამ სავსებით შესაძლებელი ყოფილა, ეს უსიამოვნება ყველაზე ბანალურმა მიზეზმაც გამოიწვიოს... სიბნელის შიშმა.

კანადელი მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ადამიანების თითქმის ნახევარს, რომლებიც უჩივიან ჩაძინების უუნარობას, ძილის დარღვევას და საერთო ჯამში, ღამღამობით არასრულფასოვან დასვენებას, უბრალოდ, სიბნელის ეშინია. იმათგან, ვისაც ძილთან დაკავშირებული პრობლემები არ აწუხებთ, სიბნელის მხოლოდ 26 პროცენტს ეშინია.

რა თქმა უნდა, ყველა ზრდასრული ადამიანი არ აღიარებს, რომ ასეთი შიშის მსხვერპლია. ბევრი ცდილობს, ღამის სანათით გაუმკლავდეს სიბნელის შიშს, ზოგი ტელევიზორზე აკეთებს არჩევანს, რადგან სრულ წყვდიადში, უბრალოდ, ვერაფრით დაიძინებს.

მოკლედ, სიბნელის შიში სულაც არ არის მხოლოდ ბავშვების უსიამოვნება, როგორც ეს ბოლო დრომდე მიიჩნეოდა და ის გაცილებით სერიოზული მასშტაბებისაა.

აღნიშნული მიგნების წყალობით, მეცნიერები ვარაუდობენ, რომ უძილობის მკურნალობა მომავალში გაცილებით ეფექტური გახდება. კერძოდ, დასაწყისში ჯერ შიშის დაძლევა უნდა მოხდეს, შემდეგ კი ყველაფერი თავისით დალაგდება.

***sunhome.ru***

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



ცოლი სარკესთან დგას და აშკარად არ მოსწონს თავისი გარეგნობა.

– ნამდვილად საშინელი გარეგნობა მაქვს, დასამშვიდებლად რაიმე კომპლიმენტი მაინც მითხარი.

ქმარი:

– კარგი, გეტყვი, დაკვირვების უნარი გადასარევი გაქვს! დამშვიდდი?

*მოამზადა დავით ახობაძემ, დავით ახობაძის ნახატი*


გაზეთი „ალია“

გამოდის ოთხშაბათს, ხუთშაბათს და პარასკევს

გამომცემელი გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი – მიხეილ სახვაძე
599 93 28 03; 2-21-21-80 (110)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი ილია ჭაძვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი ლევან ბანეთიშვილი



**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 110)
E-mail: reklama@alia.ge

®-ით, D-ით, ან ◯-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.



ISSN 2298-0008

UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)

☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 04.15